პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 218 (12426) | შაბათი, 15 სექტემბერი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

ყველაზე მთავარი, მნიშვნელოვანი

ჩვენი დიადი ქვეყნის სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობის, ტრანსპორტის, სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო ორგანიზაციების და სახალხო მეურნეობის ყველა უბნის კოლექტივები, ემზადებიან რა დიდი ოქტომბრის 45-ე წლისთავისათვის, სულ უფრო აქტიურად ეძებენ ახალ რეზერვებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს დავაჩქაროთ სამრეწველო წარმოებისა და ტექნიკური პროგრესის ტემპი, ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, ვადამდე შევასრულოთ შვიდწლედის მეოთხე წლის დავალებანი და ამით ღირსეული წვლილი შევიტანოთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადების საქმეში.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის მთავარი და გადამწყვეტი რგოლია შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი და სწრაფი ზრდა.

შვიდწლედის განვლილ პერიოდში რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ტექნიკური პროგრესის გზით მნიშვნელოვნად აამაღლეს შრომის ნაყოფიერება. შვიდწლედის განვლილ სამ წელიწადში შრომის ნაყოფიერების ზრდამ 11 პროცენტი შეადგინა, ხოლო მიმდინარე წლის შვიდ თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6,5 პროცენტით ამაღლდა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ძვირფასია ის, რომ შრომის ნაყოფიერება იზრდება არა მუშათა ფიზიკური ზედმეტი დაძაბვის გზით, არამედ, პირიქით, ამ ზრდას ახლავს შრომის განუწყვეტელი შემსუბუქება, მისი პირობების გაუმჯობესება, სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემოკლება. და ეს გასაგებია, სოციალიზმის დროს შრომის ნაყოფიერების გადიდების ძირითადი წყაროა სწრაფი და ყოველმხრივი ტექნიკური პროგრესი, წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ტექნოლოგიური პროცესებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფა.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა შევიდა თავისი განვითარების ახალ პერიოდში — კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, შრომის ნაყოფიერების ზრდას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

ჩვენს პირობებში ყველა მშრომელი სასიცოცხლოდ დაინტერესებულია ტექნიკური პროგრესით და შრომის ნაყოფიერების ზრდით. მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსების, ოსტატების შემოქმედებითი ინიციატივა სულ უფრო მეტი ძალით იჩენს თავს წარმოების ავტომატიზაციის დარგში. ბევრ საწარმოში ნოვატორები გაბედულად ჰკიდებენ ხელს ავტომატიზაციის რთული საკითხების გადაჭრას და წარმატებას აღწევენ.

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და ნოვატორების ინიციატივით განხორციელდა მილსაგლინავ დგან „400“-ის სრული ავტომატიზაცია და მექანიზაცია, წარმოებაში დაინერგა მრავალი ახალი ტექნიკა და გაუმჯობესებული ტექნოლოგია. ყოველივე ამის შედეგად შვიდწლედის განვლილ პერიოდში ქარხნის კოლექტივი მტკიცედ ჩადგა ჩვენი ქვეყნის მოწინავე მეტალურგიული საწარმოების მწყობრში და სისტემატურად სრული მეტალურგიული ციკლით ასრულებს გეგმას. შრომის ნაყოფიერება 1961 წელს 1958 წელთან შედარებით გაიზარდა 34 პროცენტით, ხოლო წლის პირველ ნახევარში გეგმასთან შედარებით ამაღლდა 8,6 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების ასეთი ზრდა წარმოების კოლექტივს საშუალებას აძლევს პროდუქციის გამოშვების შვიდწლედის საკონტროლო ციფრების დონეს 1963 წელს მიაღწიოს.

ახალი ტექნიკის გამოყენებით, ლითონის დამუშავების გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვით შრომის მაღალ ნაყოფიერებას მიაღწია თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა. აქ შრომის ნაყოფიერების 1963 წლის დონეს დიდიხანია მიაღწიეს და ახლა წარმატებით მიიწევენ წინ შვიდწლედის ახალი მიჯნების დასაპყრობად.

შრომის ნაყოფიერების გადიდების სარეკორდო მაჩვენებლებს მიაღწიეს კომუნისტური შრომის ბრიგადებმა და ცალკეულმა ნოვატორებმა. მაგრამ ჩვენ ვერ დავივიწყებთ, რომ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადებას მოწინავეთა რეკორდები კი არ წყვეტენ, არამედ მუშაკთა მთელი მასის მაღალნაყოფიერი შრომა. სწორედ ეს აზრი გამოხატეს თავიანთ წერილებში ნ. ზაგლადამ და ი. ლეონოვამ. ამიტომ არის, რომ ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ განიხილავენ ამ მოწინავე ადამიანების წერილებს.

არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერთეულების მაღალნაყოფიერი შრომა ხავსა და ბარაქას ვერ დააყენებს. „საბჭოთა მუშის კარგი სახელი ის არის, — თქვა ი. ლეონოვამ, — რომ დაზგასთან ამხანაგსაც არ დაანებოს უფრო ცუდად მუშაობა, ვიდრე თვითონ მუშაობს. შენი კარგი სახელი ისიც არის, რომ ნაკლოვანებებთან საბრძოლველად რაზმავდე მთელ კოლექტივს. შენ, მუშა, ყველგან ქარხნის პატრონი ხარ. შენ „მისი უდიდებულესობა მუშათა კლასი“ ხარ! მაშ რათ უნდა ერიდებოდე სიმართლის პირში თქმას, თუნდაც ზოგჯერ ეს სიმართლე მაინცდამაინც სასიამოვნო როდი იყოს?!

ყველგან ერთნაირი მონდომებით არ მუშაობენ, მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან ახალი ტექნიკის დანერგვას, შრომატევადი პროცესების მექანიზაციასა და ავტომატიზაციას. სწორედ ამიტომ არის, რომ მთელი რიგი საწარმოები და მრეწველობის დარგებიც კი ვერ ასრულებენ შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებას და ამით უკან სწევენ რესპუბლიკის საერთო მაჩვენებელს.

მიმდინარე წლის განვლილ შვიდ თვეში შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება ვერ შეასრულეს ისეთმა დიდმა საწარმოებმა, როგორიც არიან თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი და ქუთაისის საავტომობილო ქარხანა. ეს კიდევ არაფერი, სამარცხვინოა, რომ დავალება ვერ შეასრულეს მრეწველობის მთელმა რიგმა დარგებმა. მაგალითად, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპში ჩამორჩებიან ჭიათურის მარგანეცის ტრესტი, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის სამმართველოები.

შრომის ნაყოფიერების ზრდა ფერხდება მრავალი მიზეზით. მთელ რიგ საწარმოებში ეს ხდება ტექნიკის ცუდად გამოყენების გამო. მანქანებისა და მექანიზმების არადამაკმაყოფილებლად გამოყენება თავის მხრივ აიხსნება სერიოზული ნაკლოვანებებით შრომისა და წარმოების ორგანიზაციაში, ხელმძღვანელთა უუნარობით ისე დააყენონ საქმე, რომ ყოველ მუშას მიეცეს შესაძლებლობა დღითიდღე იშრომოს მთელი თავისი ძალღონისა და უნარის გამოყენებით.

ასეთ უუნარო ხელმძღვანელებზე რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე 1962 წლის 10 მაისს ხატოვნად თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა:

„ჩვენში ხშირად იმეორებენ რომ კომუნიზმის მშენებლობაში დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერების გადიდებას. ეს სწორია, ამაზე უნდა ვილაპარაკოთ. მაგრამ ხშირად ეს წარმოითქმის როგორც გაცვეთილი ფრაზა, რომელსაც, ასე ვთქვათ, გამოსვლის დასამშვენებლად ხმარობენ. უნდა ითქვას, რომ, სამწუხაროდ, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ჯერ კიდევ ყველა მუშაკი როდი ფიქრობს იმაზე, თუ რისგან მიიღება მაღალი ნაყოფიერება, რა უნდა კეთდებოდეს იმისათვის, რომ განუხრელად გადიდდეს შრომის ნაყოფიერება, შემცირდეს შრომის დანახარჯები ნაკეთობის ერთეულზე, გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი“.

რესპუბლიკის საწარმოები აღჭურვილი არიან ახალი ტექნიკით, ყველგან არის შრომის ნაყოფიერების გადიდების შესაძლებლობანი. მთავარია პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მზარდ შემოქმედებით აქტივობაზე დაყრდნობით გააფართოონ საწარმოებში ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის ფრონტი. ჩვენს საწარმოებში ჭეშმარიტად დაუშრეტელი შესაძლებლობანი მოიპოვება წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ამოცანების სწრაფად გადაჭრისათვის. საქმე ის არის, რომ ეს შესაძლებლობანი სინამდვილედ ვაქციოთ.

საოქტომბრო ვახტზე დგებიან ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივები და ახალ გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ. ახლა მთავარია პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მასების შრომით აღმავლობას და ყველა პირობა შეუქმნან თვითეულ მუშას, ბრიგადას, მთელ კოლექტივს ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით განაღდებისათვის. ამ შეჯიბრებაში ნუ დაგვავიწყდება, რომ შრომის ნაყოფიერების სწრაფი და განუხრელი ზრდა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადების გადამწყვეტი პირობა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საფუძველია.

ჩვენი საოქტომბრო საჩუქრები

ასე ეგებებიან დღესასწაულს

თბილისი. საბურთალოს მშრალი წნეხვის აგურის ქარხნის (დირექტორი ი. ინგოროყვა) კოლექტივმა ვადამდე დიდი გადაჭარბებით შესრულა რვა თვის გეგმა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 1 მილიონ 900 ათასი ცალი აგური და 12.500 მანეთის კერამიკული ჭურჭელი. განვლილ პერიოდში გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება ამაღლდა 4,4 პროცენტით და პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 2 პროცენტით. მიღებულია ზეგეგმითი ეკონომია და რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში შეტანილია 13.500 მანეთი. წლის პირველ ნახევარში ათვისებულია 25 ახალი სახის კერამიკული ჭურჭლის წარმოება.

მაღალნაყოფიერი შრომით სახელი გაითქვეს კომუნისტური შრომის ბრიგადებმა, რომლებსაც ა. შუბითიძე, ა. მეგრელიშვილი და ა. მხეიძე ხელმძღვანელობენ.

დიდი ოქტომბრის 45-ე წლისთავის აღსანიშნავად ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ათი თვის გეგმა 15 სექტემბრისათვის შეესრულებინა და წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით 3 მილიონი ცალი აგური გამოუშვას.

თბილისი. დიდი ოქტომბრის 45-ე წლისთავისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში კარგ წარმატებებს მიაღწია თბილისის ბამბის სართავმა ფაბრიკამ. აქ რვა თვის გეგმა ვადამდე შეასრულეს და გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 52 ათასი მანეთის ნაწარმი და გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 31 ათასი მანეთით შეამცირეს.

შრომაში დაწინაურდა კომუნისტური შრომის ცვლა, რომელსაც ნ. ქავთარაძე ხელმძღვანელობს. კარგი შედეგები აქვს ი. ხახვიაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადას.

შრომითი გამარჯვება

ქუთაისი. (საქ. კორ). საკონსერვო ქარხნის კოლექტივი, რომელიც ოდესელ, ოქტომბერიანელ და გორელ თანამოსაქმეებს ეჯიბრება, იმისათვის იბრძვის, რომ დიდი ოქტომბრის დღესასწაულისათვის სამშობლოს უპატაკოს წლიური გეგმის შესრულება.

მეკონსერვეებმა 120,7 პროცენტით გაანაღდეს საერთო პროდუქციის, ხოლო 105,6 პროცენტით — კონსერვების გამოშვების რვა თვის დავალება. საგულისხმოა, რომ განვლილ პერიოდში ქარხანამ 863 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცა სამშობლოს. ახლა აქ ორმოცდაათზე მეტი სხვადასხვა სახის კონსერვს უშვებენ. მოკლე ხანში აითვისეს ხილისა და კენკრის ნატურალური წვენების წარმოება. წელსვე პირველად დაიწყებენ ციტრუსოვანთა ნაყოფის წვენის დამზადებას.

საოქტომბრო შეჯიბრებაში წინ მიდიან ხილის, ბოსტნეულისა და სათუნუქე საამქროები, რომლებსაც ლ. ნარსია, ი. მარკოზაშვილი და ზ. ტურძელაძე ხელმძღვანელობენ.

ვალდებულება [illegible]

სიტყვის ხალხი ჩვენი მეჩაიეები, ვალდებულებით ნაკისრი 511 ტონის ნაცვლად მრეწველობას ჩააბარეს 568 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ნედლეული. ჰექტარზე მიღებულია 5.811 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის ბრძოლაში დაწინაურდნენ ქ. ქურიძის ბრიგადის წევრები, რომლებმაც ვალდებულების დამატებით 21 ტონა ჩაის ფოთოლი ჩააბარეს წარმოებას, ხოლო ბრიგადამ, რომელსაც ვ. მათითაიშვილი ხელმძღვანელობს, 106 ტონა ფოთოლი მოკრიფა, ვალდებულება კი 84 ტონას ითვალისწინებდა.

ჩვენი არტელის საამაყო წევრებმა ქ. გოგუაძემ, ბ. მორჩილაძემ, ე. გოგუაძემ და სხვებმა დიდი ხანია გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური ვალდებულებანი. ისინი ახლა ვალდებულების გადამეტებით კრეფენ ჩაის ფოთოლს.

ბ. ღლონტი,
ლანჩხუთის რაიონის სოფელ ქვემო აკეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

სარეკორდო მოსავალი

სეზონის დაწყებიდან 14 სექტემბრამდე ათი ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3 ათასი კილოგრამისა!

ჩაის ეს სარეკორდო მოსავალი წულუკიძის რაიონის ქალაქ წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა იზოლდა წოწონავამ 0,6 ჰექტარზე მიიღო.

მაგრამ იგი ამ წარმატებით როდი დაკმაყოფილდა. მოსაკრეფი ფოთოლი უხვად არის.

მართალია, წელს სეზონის დაწყებიდან მან ათი ათასი კილოგრამი ფოთოლი აიღო, მაგრამ ახალები მაინც ბლომად არის.

კარგად დამუშავებულმა პლანტაციამ კალთა უხვად დაიბერტყა. მარტო გუშინ წოწონავამ მოკრიფა 100 კილოგრამი „მწვანე ოქრო“. სეზონის დამთავრებამდე გამრჯე ქალიშვილი ვალდებულების გადამეტებით კიდევ ასეულობით კილოგრამ ჩაის ნედლეულს მოკრეფს.

შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ „მწვანე ოქროს“ კრეფაში მახარაძის საწარმოო სამმართველოს სოფელ შრომის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეთა რგოლი, რომელსაც სახელგანთქმული მკრეფავი უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ტატიანა ჩხაიძე ხელმძღვანელობს. წლიური გეგმით 35 ტონის ნაცვლად რგოლის წევრებმა უკვე მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 40 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული. სეზონის დასასრულამდე კიდევ სამ ტონა ჩაის მოკრეფენ. — ასეთია მათი პირობა. კომუნისტური შრომის მაგალითს აჩვენებს მერგოლური ტ. ჩხაიძე, რომელმაც იკისრა 0,8 ჰექტარ ფართობზე მოკრიფოს 18 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7 ტონისა.

სურათზე: მოწინავე რგოლი (მარცხნიდან მარჯვნივ) ჰ. კვაჭანტირაძე, შ. კუბურიძე, მერგოლური ტ. ჩხაიძე, მ. ხეცაშვილი და დ. ჩაგელიძე.

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქტესის ფოტოქრონიკა).

ჩაის ფოთოლს კრეფენ გეგმის გადამეტებით

საქართველოს მეჩაიეებმა წლიური გეგმა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულეს. ბევრგან ჩაის ფოთოლს გეგმის გადამეტებით კრეფენ, ზოგან კი ვალდებულებაც გაანაღდეს.

წალენჯიხიდან გვაცნობეს, რომ რაიონის მეჩაიეებმა ნაცვლად 8.800 ტონისა მოკრიფეს 10.193 ტონა ნედლეული. გეგმის ზევით მოკრეფილია 1.393 ტონა „მწვანე ოქრო“.

ხობის რაიონის მეჩაიეებმა ნაცვლად 2.561 ტონისა მოკრიფეს და მრეწველობას ჩააბარეს 2.686 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

გეგეჭკორელი მეჩაიეები ენერგიულად შრომობენ, რათა სამშობლოს მისცენ მეტი ჩაის ფოთოლი. 13 სექტემბრისათვის რაიონში მოკრეფილი იყო 7.743 ტონა „მწვანე ოქრო“ ანუ წლიური გეგმაზე 423 ტონით მეტი.

გზა გადავუღობოთ ომის ძალებს!

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პრეზიდიუმში

გაიმართა საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პრეზიდიუმმა გამოხატა საბჭოთა საზოგადოებრიობის დიდი შეშფოთება ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების პროვოკაციული მოქმედების გამო და გადაჭრით დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული გეგმები და ზრახვები კუბის მიმართ. პრეზიდიუმმა სავსებით მხარი დაუჭირა საბჭოთა მთავრობის პოზიციას კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების საშიში პროვოკაციების მიმართ, რომელმაც შეიძლება ჩაითრიოს კაცობრიობა საყოველთაო თერმოატომური ომის კატასტროფაში.

საბჭოთა საზოგადოებრიობის სახელით საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა მიმართოს მოსკოვში გამართული საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის ამერიკელ მონაწილეებს, ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივ მოძრაობებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც მშვიდობისათვის იბრძვიან, და მოუწოდოს მათ განახორციელონ ღონისძიებანი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და გაძლიერებული ომის საფრთხის აღმოფხვრის ინტერესებისათვის.

პრეზიდიუმმა გაუგზავნა კუბის მშვიდობის მომხრეებს დეპეშა, რომელშიც გამოთქმულია საბჭოთა ადამიანების სოლიდარობა კუბის გმირი ხალხისადმი, მტკიცედ რომ დგას თავისი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საგუშაგოზე და ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ყველა ხალხის საერთო ბრძოლაში.

სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს კომიტეტის თავმჯდომარის ნ. ს. ტიხონოვისა და კომიტეტის პასუხისმგებელი მდივნის მ. ი. კოტოვის მოხსენებანი იმ მუშაობის შესახებ, რომელიც კომიტეტმა გასწია საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის იდეების განხორციელებლად, და განიხილეს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მეგობრული ურთიერთობის გაფართოება საზღვარგარეთის მშვიდობისმოყვარე ძალებთან და კიდევ უფრო ფართო თანამშრომლობა მათთან, რათა თავიდან ავიცილოთ მსოფლიო თერმოატომური ომი.

პრეზიდიუმის სხდომას ესწრებოდა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტ-აღმასრულებელი პროფესორი ჯონ ბერნალი, რომელიც მონაწილეობს მეცნიერთა მოსკოვის საერთაშორისო სიმპოზიუმის მუშაობაში.

ხელები შორს კუბისაგან!

სსრ კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის დეპეშა

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა გაუგზავნა დეპეშა კუბის ხალხის მშვიდობისა და სუვერენიტეტისათვის მოძრაობის ეროვნულ საბჭოს. დეპეშაში ნათქვამია:

„იმ ჟამს, როცა თავისუფლების კუნძულის ცა კვლავ იფარება ომის საფრთხის შავბნელი ღრუბლებით, ყველა საბჭოთა ადამიანი უაღრესად მხურვალე ძმურ სოლიდარობას უცხადებს მამაც კუბელ ხალხს და საყოველთაოდ, მტკიცედ უჭერს მხარს იმ პროვოკაციათა პასუხად, რომელთაც ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ამზადებენ.

გმირი კუბის მხარეზეა მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი. კუბის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვა ეს არის ბრძოლა მშვიდობის შენარჩუნებისათვის, რომელიც დიდად აინტერესებს ყველა ხალხს. საბჭოთა კავშირის მშვიდობის მომხრენი ღრმად არიან დარწმუნებული, რომ მშვიდობისმოყვარე ძალების გაერთიანებული და გადამწყვეტი მოქმედება აიძულებს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ წრეებს ხელი აიღონ პროვოკაციებისა და სამხედრო ავანტიურების საშიშ პოლიტიკაზე.

ჩვენს დროში შეიძლება თავიდან ავიცილოთ მსოფლიო თერმოატომური ომი და მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ მშვიდობას დედამიწაზე. ამ მაღალ მიზნებს უძღვნიან ახლა თავიანთ ღონისძიებებს მშვიდობის მეგობრები ყველა კონტინენტზე, რომლებიც ახორციელებენ საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის იდეებს, საკადრის პასუხს აძლევენ აგრესიულ ძალებს, იბრძვიან იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ კაცობრიობას შეიარაღების ტვირთი და ატომური კატასტროფის საფრთხე.

ყველა კეთილი ნების ადამიანთან ერთად ჩვენ, საბჭოთა მშვიდობის მომხრენი, მოვითხოვთ: ხელები შორს კუბისაგან! გზა გადავუღობოთ ომის ძალებს!

კუბის მშვიდობის დაცვის კომიტეტსა და მისი სახით კუბის მშვიდობის ყველა მამაც დამცველს გულითადად მივესალმებით, ვუსურვებთ წარმატებებს ჩვენს საერთო ბრძოლაში მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობისათვის“.

მშვიდობა, პროგრესი, კეთილდღეობა

გაიხსნა მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციის VII გენერალური ასამბლეა

მოსკოვი, 13 სექტემბერი. (საკდესი). დღეს მოსკოვის უნივერსიტეტის მთავარ შენობაში მუშაობა დაიწყო მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციის მორიგმა, VII გენერალურმა ასამბლეამ. ასამბლეაზე, რომელსაც წინ უძღოდა მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციის მიერ მოწვეული მეცნიერთა საერთაშორისო სიმპოზიუმი „უმაღლესი ტექნიკური და ჰუმანიტარული განათლების პრობლემებზე“, ჩამოვიდნენ ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის მრავალი ქვეყნის 200 ათასზე მეტი მეცნიერის წარმომადგენლები დაახლოებით 300 დელეგატი.

ასამბლეის მონაწილენი განიხილავენ ფედერაციის საქმიანობის მიმდინარე საკითხებს, მშვიდობისათვის, პროგრესისა და მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ მეცნიერთა საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებისათვის მეცნიერთა შემდგომი ბრძოლის ამოცანებს.

გენერალური ასამბლეა გახსნა მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტმა, ცნობილმა ინგლისელმა მეცნიერმა ს. პაუელმა.

საბჭოთა კავშირის მეცნიერთა სახელით ასამბლეის მონაწილეებს გულითადად მიესალმა აკადემიკოსი ა. ი. ოპარინი. ჩვენ, თქვა მან, უნდა განვიხილოთ ბევრი მიმდინარე საკითხი. მაგრამ მთავარი საკითხი, რომელიც ჩვენი ყურადღების ცენტრშია, არის ბრძოლა მეცნიერების მშვიდობიანი გამოყენებისათვის, ომის საფრთხისაგან თავისუფალი მსოფლიოსათვის. თანამედროვე ეპოქაში მეცნიერებამ დღემდე არნახული მნიშვნელობა მოიპოვა. იგი აღწევს ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროში. ამიტომ განუზომლად გაიზარდა მეცნიერთა როლი ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებაში, გაიზარდა მათი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. ამასთან დაკავშირებით მეცნიერებს ეკისრებათ გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა მშვიდობის ბედისათვის, ვიდრე საზოგადოების რიგით წევრს, თუნდაც იმიტომ, რომ მეცნიერ მუშაკს უკეთ შეუძლია გამოიცნოს საფრთხე, რომელიც მსოფლიოს ემუქრება, და მოიპოვოს ბევრი, მხოლოდ მისთვის ხელმისაწვდომი საშუალება, რათა რაციონალურად იბრძოლოს ამ საფრთხის წინააღმდეგ.

გავაერთიანოთ ომის წინააღმდეგ მებრძოლი მეცნიერების ყველა მოღვაწის ძალები — აი ჩვენი პირდაპირი მიზანი და მოვალეობა, თქვა შემდეგ აკადემიკოსმა ოპარინმა. მხოლოდ საყოველთაო და სრული განიარაღება აღმოფხვრის ატომური ომის საფრთხეს და შემდგომ მშვიდობიანი თანაარსებობის საცმაო გარანტიას მისცემს შეშფოთებით გაწამებულ კაცობრიობას. ჩვენი მხურვალე სურვილია შევქმნათ იარაღისაგან თავისუფალი მსოფლიო, სიუხვის მსოფლიო.

ასამბლეის მონაწილეებმა აირჩიეს პრეზიდიუმი, სამანდატო კომისია, შექმნეს ასამბლეის მუშა კომისიები: საფინანსო საკითხთა და ფედერაციის ადმინისტრაციული სტრუქტურის წინადადებათა, მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციის წესდების შესწორებათა, ასამბლეის პუბლიკაციათა და რეზოლუციათა კომისიები.

შემდეგ ასამბლეის მონაწილეებმა განიხილეს და დაამტკიცეს მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური ასამბლეის მესამე და მეოთხე სესიებს შორის მიღებული რეზოლუციები. ფედერაციის წევრებად ერთხმად მიიღეს საფრანგეთის, კუბის მეცნიერ მუშაკთა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ეროვნული კავშირები.

ასამბლეის წინაშე საანგარიშო მოხსენება გააკეთა მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, პროფესორმა პიერ ბიკარმა (საფრანგეთი). მან აღნიშნა, რომ ფედერაციის საქმიანობა ასამბლეის VI სესიის (რომელიც ვარშავაში გაიმართა) შემდეგ განვლილ სამ წელიწადში განუხრელად ვითარდებოდა მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციის ქარტიისა და წესდების დაცვის სულისკვეთებით და მიზნად ისახავდა მეცნიერთა საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებას, კაცობრიობის საკეთილდღეოდ მშვიდობისა და განიარაღებისათვის ბრძოლის განვითარებას.

საღამოს გაიმართა ასამბლეის მიერ შექმნილი კომისიების სხდომები, რომლებიც განიხილავენ ფედერაციის საქმიანობის სხვადასხვა საკითხებს.

14 სექტემბერს მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციის ასამბლეა განაგრძობს მუშაობას.

გენერალური ასამბლეის XVII სესიაზე

სსრ კავშირის, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დელეგაციები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVII სესიაზე, რომელიც ნიუ-იორკში გაიხსნება 18 სექტემბერს, შემდეგი შემადგენლობით: ა. ა. გრომიკო (დელეგაციის მეთაური), ვ. ა. ზორინი, ვ. ს. სემიონოვი, მ. ა. მენშიკოვი, ტ. ნ. ნიკოლაევა (დელეგაციის წევრები). დელეგაციის წევრთა მოადგილეებად დამტკიცებული არიან: ა. კ. გრენი, გ. პ. არკადიევი, პ. დ. მოროზოვი, პ. მ. ჩერნიშოვი, ფ. დ. რიჟენკო.

უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVII სესიაზე, რომელიც ნიუ-იორკში გაიხსნება 18 სექტემბერს, დანიშნა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: ლ. თ. პალამარჩუკი (დელეგაციის მეთაური), ლ. ე. კიზია, ა. ტ. რომანოვი, ს. კ. კირილოვა, პ. ე. ნედბაილო (დელეგაციის წევრები). დელეგაციის წევრთა მოადგილენი არიან: ლ. დ. დმიტერკო, ა. ა. ბოიკო, მ. დ. პოლიაშჩუკო, ი. ვ. ზარუბა, გ. ე. ბუვაილიკი.

ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა ბელორუსიის სს რესპუბლიკის დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVII სესიაზე შემდეგი შემადგენლობით: კ. ვ. კისელიოვი (დელეგაციის მეთაური), პ. ე. ასტაპენკო, ე. ი. სკურკო (მაქსიმ ტანკი), ბ. დ. პარემსკი, ვ. ს. სმირნოვი (დელეგაციის წევრები), ვ. ს. კოლბასინი, ი. ლ. ლისაკოვსკი, გ. ა. პოვეტიევი (დელეგაციის წევრთა მოადგილეები). (საკდესი).

საერთაშორისო ცნობები

საშიში გზით

ნიუ-იორკი, 14 სექტემბერი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ გუშინ განაცხადა, რომ იგი „მუშაობს იმ გეგმაზე, რომ კუბელები შეაგროვოს ამერიკის შეიარაღებულ ძალებში და ასწავლოს მათ ჯარის ნაწილებში, რომლებშიც არიან ესპანურ ენაზე მოლაპარაკე ჯარისკაცები“.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იმოწმებს გაზეთ „მაიამი ნიუსს“ და აღნიშნავს, რომ თავდაცვის სამინისტრო აპირებს შეაგროვოს შემდგომ ორ კვირაში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და პუერტო-რიკოში მყოფ კუბელთა შორის 5-დან 6 ათასამდე კაცი.

შეთანხმება მოწონებულია

ჰააგა, 14 სექტემბერი. (საკდესი). ჰოლანდიის პარლამენტის ზედა პალატამ მოიწონა ჰოლანდია-ინდონეზიის შეთანხმება ინდონეზიის რესპუბლიკისათვის დასავლეთ ირიანის მართვა-გამგეობის გადაცემის შესახებ. შეთანხმებას ხმა მისცა 63 დეპუტატმა, წინააღმდეგ — 3 დეპუტატმა. შეთანხმება უკვე მოიწონა პარლამენტის ქვედა პალატამ.

მ. ბეისებაევი — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ალმა-ათა, 13 სექტემბერი. (საკდესი). ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ყაზახეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულია მ. ბეისებაევი. მანამდე იგი ყაზახეთის კომპარტიის ალმა-ატის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი იყო.

ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ს. დაულენოვი განთავისუფლებულია ამ პოსტიდან.

გულთბილი შეხვედრა

სოფია, 14 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ სალამოს „ლოზენეცის“ სახლში ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები შეხვდნენ სკკპ პარტიულ მუშაკთა დელეგაციას, რომელიც სტუმრად იმყოფება ბულგარეთში და რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. პ. კირილენკო. ბულგარეთის მხრივ შეხვედრაზე იყვნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტოდორ ჟივკოვი, ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ანტონ იუგოვი და პარტიისა და მთავრობის სხვა თვალსაჩინო მოღვაწეები.

შეხვედრას დაესწრო აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთში გ. ა. დენისოვი.

ა. პ. კირილენკომ გაუზიარა დამსწრეთ ბულგარეთში დელეგაციის მოგზაურობის შთაბეჭდილებანი. შეხვედრამ ჩაიარა უაღრესად გულითად, მეგობრულ ვითარებაში.

სტუმრად მალის რესპუბლიკაში

ბამაკო, 14 სექტემბერი. (საკდესი). მალის რესპუბლიკაში იმყოფება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატის, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. მ. მუსახანოვის მეთაურობით. დელეგაცია ესწრებოდა როგორც სტუმარი სუდანის კავშირის პარტიის VI ყრილობას, რომელმაც დაამთავრა მუშაობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრებსა და სუდანის კავშირის პარტიის პოლიტიკურ მდივან იდრისა დიარასა და საორგანიზაციო საკითხთა მდივან იაკუბა მაიგას შორის გაიმართა საუბარი, რომლის დროსაც ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სუდანის კავშირის პარტიული ურთიერთობის შემდგომი განვითარების შესახებ.

კანონპროექტი რეზერვისტების შესახებ

ვაშინგტონი, 14 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა მოიწონა პრეზიდენტ კენედის მიერ შეტანილი კანონპროექტი იმის შესახებ, რომ მიანიჭონ მას უფლება ნამდვილ სამსახურში გაიწვიოს 150 ათასი რეზერვისტი.

არჩევნების წინ ალჟირში

ალჟირი, 14 სექტემბერი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ 20 სექტემბერს გაიმართება ალჟირის ეროვნული დამფუძნებელი კრების არჩევნები, აქ გამოქვეყნდა დეპუტატობის კანდიდატთა ახალი სიები.

როგორც გაზეთი „დეპეშ დ' ალჟერი“ იუწყება, ეროვნული დამფუძნებელი კრების დეპუტატობის კანდიდატთა სიებმა ალჟირისა და კონსტანტინის დეპარტამენტებისაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადეს. კერძოდ, სიებში შეტანილი არ არის ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის თავმჯდომარე იუსეფ ბენ ხედა.

მევენახეობისა და მეღვინეობის X საერთაშორისო კონგრესი

მევენახეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები

გუშინ დილით გრძელდებოდა მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო კონგრესის მევენახეობისა და ვაზის პათოლოგიის სექციის სხდომა. იგი მიმდინარეობდა იტალიელი მეცნიერის ჯიოვანი დალმასოს თავმჯდომარეობით.

მოისმინეს პიერ დელანბახის (საფრანგეთი) გენერალური მოხსენება „მევენახეობის მექანიზაცია ვაზის მოვლა-დამუშავების სხვადასხვა მეთოდის პირობებში", რომელიც სინთეზია 17 ქვეყნის მოხსენებისა ვაზის მექანიზებული მოვლა-დამუშავების, მევენახეობაში გამოყენებული თანამედროვე მანქანების კონსტრუქციის საკითხებზე და მომავლის პრობლემებზე.

მოხსენების გამო დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს გ. პალამარჩუკმა (სსრ კავშირი) და ბ-მა ლაფონმა (საფრანგეთი).

უკანასკნელ წლებში სულ უფრო სრულყოფილი ხდება სამუშაოთა მექანიზაცია მევენახეობაში. შეიქმნა მთელი რიგი ახალი სპეციალიზებული მანქანები, კერძოდ, მცირე ძალის ტრაქტორი და 8 ცხენის ძალის მუხლუხა მოტოგუთანი, რომელსაც შეუძლია დააგრეგატება სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღებთან. მაგრამ ისეთი სამუშაოები, როგორიცაა ვაზის გასხვლა და ყურძნის კრეფა, ჯერ კიდევ ხელით წარმოებს. ახლა ავსტრიაში ვაზის სასხლავად ცდიან მოტორულ სეპარატორებს, საფრანგეთში კი —პნევმატურს. არგენტინასა და საფრანგეთში მიმდინარეობს ყურძნის საკრეფი მანქანების გამოცდა.

საბჭოთა კავშირში მეტი წილი ვენახები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აქვთ, არის მეურნეობანი, სადაც ვენახებს დიდი მასივები — 50,100 და მეტი ჰექტარი ფართობი უკავია. ეს საშუალებას იძლევა განხორციელდეს ვენახების მოვლა-დამუშავების ფართო მექანიზაცია. ხელის შრომის ნაცვლად მექანიზაციის საშუალებათა გამოყენება მკვეთრად ამცირებს შრომის დანახარჯებს და ცენტნერი პროდუქციის თვითღირებულებას. მაგალითად, ფიზიკური შრომის ხარჯი ბარში პლანტაჟის დროს 800-1200 კაცდღიდან ორ კაცდღემდე შემცირდა ჰექტარზე.

ამჟამად სსრ კავშირში წარმოებს მუშაობა იმისათვის, რომ დამთავრდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაცია ყველა დარგში, მათ შორის მევენახეობაშიც, ზონალურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

განხილულ საკითხზე სესიამ მიიღო წინადადებანი და სასურველად მიიჩნია:

ვენახების მოვლა-დამუშავების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საპრობლემო საკითხთა უსწრაფესი გადაჭრისათვის მეტად სასარგებლოა საერთაშორისო კავშირურთიერთობის გაფართოება და ინფორმაციების სისტემატური გაცვლა. ამასთან დაკავშირებით უახლოეს მომავალში, როგორც ვარაუდობს მეღვინეობისა და მევენახეობის საერთაშორისო ბიუროს ზოგიერთი წევრი, ამ ორგანიზაციაში უნდა შეიქმნას დოკუმენტაციისა და ინფორმაციის სამსახური, რომელსაც ეცოდინება ყველა ქვეყნის მევენახეთა მოთხოვნილებანი, გააცნობს მათ ახალი მარკის სპეციალიზებულ მანქანებს.

მოისმინეს აგრეთვე მოხსენებანი: ს. პოღოსიანისა (სომხეთი) — „მეთოდები ვაზის სელექციისა სსრ კავშირში", ბ. გიუსფელდისა (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) — „მეთოდები, რომლებიც განსაზღვრავენ ვაზის მედეგობას ფილოქსერის წინააღმდეგ".

ამ მოხსენებათა გამო გამოვიდნენ — დ. ტაბიძე (საქართველო), ხოხბერგი (ისრაელი), შ. ნიგმატოვი (უზბეკეთი), ბრანასი (საფრანგეთი), ი. პრინცი (მოლდავეთი).

სექციის სხდომაზე საფუძვლიანი მოხსენება „ისტორია ვაზის კულტურისა სსრ კავშირში" გააკეთა მოლდავეთის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ მ. პელიახმა.

ამით სექციამ დაამთავრა მუშაობა.

მეღვინეობის პროგრესის ინტერესებისათვის

მევენახეობისა და მეღვინეობის X საერთაშორისო კონგრესის მეღვინეობის სექციის მეორე სხდომაზე, რომელიც 14 სექტემბერს გაიმართა, გრძელდებოდა მეღვინეობის შემდგომი პროგრესის მიღწევებთან დაკავშირებულ საკითხთა განხილვა.

დელეგატებმა მიიღეს რეზოლუციები მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის, ქ. ბორდოს (საფრანგეთის) აგრონომიისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი სადგურის დირექტორის ჟ. რიბერო-გაიონის გენერალური მოხსენების გამო „დაჟანგვა-აღდგენის პროცესები ღვინის დავარგებისა და დაძველების დროს და მათი რეგულირების მეთოდები", სადაც მოცემულია კონგრესზე წარმოდგენილ ეროვნულ მოხსენებათა ანალიზი, სოფლის მეურნეობის ეროვნული ინსტიტუტის ინჟინერ-აგრონომის ე. ფედურიოს (ქ. მადრიდი) გენერალური მოხსენების გამო „ანტისეპტიკურ საშუალებათა გამოყენება ღვინის წარმოებაში გოგირდოვან ანჰიდრიდთან ერთად ანჰიდრიდის შეცვლის მიზნით".

სექციამ მიიღო რეზოლუციები აკადემიკოს ა. ი. ოპარინის ინფორმაციის გამო „ღვინის ბიოქიმია", საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ს. ვ. დურმიშიძის ინფორმაციის გამო „სპირტული დუღილის მეორეული პროდუქტების წარმოქმნისა და ქიმიზმის საკითხისათვის", კრასნოდარის კვების მრეწველობის ინსტიტუტის პროფესორის გ. გ. აღაბალიანცის ინფორმაციის გამო „მჩქეფარე ღვინოების წარმოების ტექნოლოგიის მეცნიერული საფუძვლები".

სექციის სხდომაზე განსაკუთრებით აღინიშნა საბჭოთა მეცნიერების ა. ი. ოპარინისა და ს. ვ. დურმიშიძის მოხსენებათა მეცნიერული მნიშვნელობა.

კონგრესის დელეგატების დიდი ინტერესი გამოიწვია ლოძის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორის იადვიგა იაკუბოვსკას მოხსენებამ „მემბრანიანი ფილტრების გამოყენება ღვინის მიკრობიოლოგიური ანალიზის მიზნებისათვის". თვალსაჩინო პოლონელმა მეცნიერმა გამოარკვია, რომ ღვინის ხშირად დაქვეითებული ბიოლოგიური სტაბილურობა აქვს. ბოთლებში ღვინის შემჩნეულმა მიკრობიოლოგიურმა ცვლილებებმა — დალექვამ, ამღვრევამ და დუღილის ნიშნებმაც კი ი. იაკუბოვსკა იმ აზრამდე მიიყვანა, რომ ეწარმოებინა კვლევა, რათა შეემუშავებინა მზა ღვინის ანალიზის სწრაფი მეთოდი ბოთლებში ჩასხმის მომენტში. მემბრანიანი ფილტრების მეთოდს, რომელიც პოლონელმა მკვლევარმა შეიმუშავა, ეფექტიანი შედეგები მოჰყვა.

გადაწყდა, რომ პროფესორ იადვიგა იაკუბოვსკას მოხსენება, ძვირფას გამოკვლევათა შესახებ, რომლებსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ, გადაეცეს მეღვინეობისა და მევენახეობის საერთაშორისო ბიუროს ღვინოების ანალიზისა და დაფასების მეთოდების გაერთიანების ქვეკომისიას.

სექციის სხდომაზე კონგრესზე მოსმენილ ცალკეულ მოხსენებათა გამო თავიანთი მოსაზრებანი გაუზიარეს დამსწრეთ ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა კ. მ. სალდაძემ (მოსკოვი), სომხეთის მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის დოცენტმა ლ. მ. ჯანპოლადიანმა, სრულიად საკავშირო მეღვინეობისა და მევენახეობის იალტის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის „მაგარაჩის" უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ი. მ. სკურიხინმა.

დასასრულ პროფესორმა პოლ. ჟოლმამ (საფრანგეთი) — მეღვინეობისა და მევენახეობის საერთაშორისო ბიუროს ღვინოების ანალიზისა და დაფასების მეთოდების გაერთიანების ქვეკომისიის თავმჯდომარემ მოახსენა დელეგატებს ქვეკომისიის მუშაობის შედეგები, მისი შემუშავებული რეკომენდაციები.

მეღვინეობის სექციამ ამით დაამთავრა მუშაობა.

სტუმრად ქართველ მევენახეებთან და მეღვინეებთან

გუშინ, 14 სექტემბერს, ნაშუადღევს მევენახეობისა და მეღვინეობის X საერთაშორისო კონგრესის დელეგატები და სტუმრები ორ ჯგუფად გაიყვნენ და ეცნობოდნენ ქართველი მევენახეებისა და მეღვინეების მიღწევებს.

რამდენიმე საათს იყვნენ ისინი საქართველოს სსრ მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში. ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ნ. მ. ხომიზურაშვილმა, ამ სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომლებმა უამბეს საზღვარგარეთელ და საბჭოთა მეცნიერებსა და სპეციალისტებს, თუ რა მეცნიერულ-ორგანიზაციულ დახმარებას უწევს ინსტიტუტი სასოფლო-სამეურნეო წარმოებას რესპუბლიკაში მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის შემდგომი განვითარების საქმეში.

ინსტიტუტს აქვს მევენახეობისა და მეღვინეობის, მეხილეობის რამდენიმე საცდელი სადგური, საყრდენი პუნქტების ფართო ქსელი. მას აქვს ექსპერიმენტული ღვინის ქარხანა. ინსტიტუტის ღირსშესანიშნაობაა მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო მუზეუმი, რომელიც აქ შეიქმნა.

ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა შეიმუშავეს ვაზის შედარებით დიდი დატვირთვის ფორმა, რომელიც მოწინავე აგროტექნიკის ფონზე უზრუნველყოფს მოსავლის გადიდებას 70 პროცენტამდე ფორმირების არსებულ ტიპებთან შედარებით. უკანასკნელი წლების მანძილზე ასეთი ფორმირება დანერგილია რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 30 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე.

კონგრესის დელეგატებმა და სტუმრებმა ცხოველი ინტერესი გამოიჩინეს მევენახეობაში მიკროელემენტების გამოყენების მეთოდისადმი, რომელიც აქ შეიმუშავეს და რომელიც ძირითად მაწიერ ნივთიერებათა შეტანასთან ერთად, მოწინავე აგროტექნიკის დანერგვასთან ერთად ხელს უწყობს ვაზის მოსავლიანობის გადიდებას 30-40 პროცენტით.

ერთ-ერთ პავილიონში, სადაც უხვად იყო კალათები ქართული მიწაწყლის შესანიშნავი ხილით, სტუმრები მიიპატიჟეს ატამზე, ყურძენზე, ვაშლზე. შემდეგ კონგრესის დელეგატები იყვნენ მარანში. კარგმა კახურმა ღვინომ „რქაწითელმა", რომელიც გამოირჩევა თავისი არომატით, ჰარმონიულობით, მომხიბლავი ფერით, საყოველთაო ქება დაიმსახურა.

მარანში მოხუცმა ქართველმა მეღვინემ ძია დარჩომ შესვა თავისი კოლეგის უნგრელი მეღვინის ფერენც ნადის სადღეგრძელო. სტუმარმა საპასუხო სადღეგრძელო წარმოთქვა. მან დღეგრძელობა უსურვა სტუმართმოყვარე ქართველ ხალხს, ახალი წარმატებანი უსურვა ქართველ მევენახეებსა და მეღვინეებს.

ექსპერიმენტული ღვინის ქარხნის გრილ შენობაში კონგრესის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაესინჯათ რესპუბლიკის სხვადასხვა მიკრორაიონში მოწეული „საფერავი" და შუშხუნა „ჩხავერი".

როცა მასპინძლებს ემშვიდობებოდა, მეღვინეობისა და მევენახეობის საერთაშორისო ბიუროს პრეზიდენტმა პიერ ლე რუამ თქვა: დაუვიწყარი იქნება ჩემთვის თქვენს ინსტიტუტში ყოფნის სასიამოვნო მოგონება.

ფედერაცია „სავოია-ბუგეი-დოფინეს" (საფრანგეთი) დირექტორმა, პროფესორმა ანდრე გოდარმა საქართველოს დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა:

— მთავარი შთაბეჭდილება, რომელიც მე მივიღე ინსტიტუტში ყოფნის დროს, ის არის, რომ თქვენი სახელმწიფო არ იშურებს ძალებსა და სახსრებს ახალგაზრდა აგრონომებისა და სხვა სპეციალისტების აღზრდისათვის. ჩვენ ამას აღტაცებაში მოვყავართ, რადგან საფრანგეთში ასეთ დაწესებულებათა საქმიანობა არ დგას სათანადო დონეზე. და კიდევ ერთი რამ. მე მინდა აღვნიშნო ერთი საგულისხმო თავისებურება. თქვენში არ ივიწყებენ ქართველ მეღვინეთა ძველ ტრადიციას და ამავე დროს მას უქმნიან თანამედროვე მეცნიერულ საფუძველს.

თვალსაჩინო იტალიელმა მეცნიერმა პროფესორმა ჯ. დალმასომ დასძინა:

— საუკეთესო ინსტიტუტია! კარგად აღჭურვილი ლაბორატორიები, ნათელი დარბაზები, ვრცელი სარდაფები, საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორიის მშვენიერად გაფორმებული მუზეუმი და, ამ „მოდერნთან" ერთად, თქვენი ძველებური ქვევრები, რომლებიც ასე კარგადაა შეხამებული მთელ თანამედროვე ტექნიკურ ანსამბლთან.

ქართულ მეღვინეობასთან გაცნობა გაგრძელდა თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანაში. ეს რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოა. ყოველწლიურად ქარხანა უშვებს შვიდ მილიონ ლიტრ საბჭოთა შამპანურ ღვინოს, რომელიც იგზავნება ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, საზღვარგარეთ.

შესანიშნავი ტრადიციები აქვთ ქართველ მეღვინეებს. ჯერ კიდევ უძველეს დროში ისინი განთქმული იყვნენ ამ საუცხოო სასმელის დამზადების ხელოვნებით. საზღვარგარეთელი სპეციალისტები დაწვრილებით ეცნობიან შამპანური ღვინის წარმოების ტექნოლოგიას. მათ აცნობეს, რომ აქ შამპანურ ღვინოებს აყენებენ ძველი კლასიკური წესით — ბოთლში სამი წლის დავარგებით და ახალი მეთოდით — რეზერვუარში დავარგებით. ეს მეთოდი განსხვავდება საფრანგეთსა და იტალიაში მიღებული მეთოდებისაგან. ამასთან ერთად რეზერვუარში დავარგებული საბჭოთა შამპანური ღვინო თავისი ხარისხით არ ჩამოუვარდება ბოთლისას.

კონგრესის დელეგატები იძლევიან კითხვას — რა ჯიშის ყურძნისაგან მზადდება შამპანური ღვინის მასალა. ქარხნის სპეციალისტები განმარტავენ, რომ სამრეწველო ნედლეულად, ძირითადად, იყენებენ ადგილობრივი ჯიშების ყურძენს.

სტუმრებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ საწარმოში შექმნილია ჩინებული პირობები წარმოების მუშაკებისათვის. ინტერესით დაათვალიერეს მათ ავტომატური ჩამოსხმის ხაზი. ახლა ქარხანაში წარმოებს მუშაობა ტექნოლოგიური პროცესის მთელი ციკლის ავტომატიზაციისათვის.

ვრცელ სადეგუსტაციო დარბაზში დელეგატებისათვის გაშლილია სუფრა. მათ გასინჯეს ძალიან მშრალი, ნახევრად მშრალი, მოტკბო და ტკბილი შამპანური ღვინო, რომელიც დაყენებულია ბოთლში დავარგების მეთოდით, აგრეთვე რეზერვუარში დავარგების მეთოდით. სტუმრებს მოეწონათ აგრეთვე წითელი საბჭოთა შამპანური ღვინო.

ქარხნის მუშებთან, სპეციალისტებთან გამოთხოვებისას კონგრესის მონაწილეებმა ახალი წარმატებანი უსურვეს მათ შრომაში, ბედნიერება პირად ცხოვრებაში.

— ჩვენ აქ ბევრი რამ საინტერესო და საგულისხმო ვნახეთ, რაც მიბაძვის ღირსია, — აღნიშნა უზბეკეთის დამსახურებულმა მევენახემ რ. მუსა მუხამედოვმა. ქართველ მეღვინეებს სამართლიანად შეუძლიათ იამაყონ თავიანთი მიღწევებით.

მეღვინეობისა და მევენახეობის საერთაშორისო ბიუროს ვიცე-პრეზიდენტმა პიერ ფრიდამ, რომელმაც წინა დღით მონაწილეობა მიიღო საბჭოთა ღვინოების დეგუსტაციაში, აღნიშნა:

— მე უკვე დიდიხანია არ მქონია შემთხვევა ვყოფილიყავ ესოდენ მშვენივრად მოწყობილ დეგუსტაციაზე, თუმცა ყოველ წელს, როგორც საერთაშორისო ბიუროს წევრს, მიხდება მონაწილეობა მივიღო ასეთ ღონისძიებებში, რომლებიც ეწყობა საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში. წარმოდგენილ ღვინოებს შორის მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ქართული ღვინოები, რომლებიც ყველაზე მეტად უახლოვდებიან ხარისხით საუკეთესო ფრანგულ ღვინოებს. მე პირადად უფრო მომწონს თქვენი თეთრი ღვინოები.

ხანგრძლივი იყო კონგრესის დელეგატებისა და სტუმრების ექსკურსია კონიაკის ქარხანაში. მათ იკითხეს, როდის წარმოიშვა საქართველოში კონიაკის წარმოება, ქართული ჯიშების რა ყურძენი იძლევა მაღალხარისხოვან საკონიაკე სპირტს, როგორაა მოწყობილი წარმოება.

ზოგი დელეგატი უბის წიგნაკში იწერს მონაცემებს, ცნობებს, რომლებიც შეიძინეს ქართველ სპეციალისტთა გამოცდილებიდან. მათ, კერძოდ, შეიტყეს, რომ საკონიაკე სპირტი, რომელიც დააძველეს ძველ კასრებში, გამოირჩევა სასიამოვნო არომატითა და ჰარმონიულობით. ძველი კასრების გამოყენება განაპირობებს აგრეთვე საკონიაკე სპირტის გემოს თვისებათა გაუმჯობესებას.

სტუმრებს უამბეს, რომ თბილისის კონიაკის ქარხანა 1955 წლიდან მონაწილეობას იღებს თითქმის ყველა საერთაშორისო დეგუსტაცია-გამოფენაში. ქართული კონიაკები მუდამ იმსახურებენ ოქროსა და ვერცხლის მედლებს. მაგალითად, ბრიუსელის საერთაშორისო გამოფენაზე სამტრესტი კონიაკებისა და ღვინოების უმაღლესი ხარისხისათვის დააჯილდოვეს დიდი ოქროს მედლით.

კონგრესის დელეგატებს გააცნეს სხვადასხვა მარკის კონიაკები — საიუბილეო და გრემი, ვარციხე, ენისელი და სხვა. საბჭოთა და საზღვარგარეთელმა სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს თბილისის კონიაკის ქარხნის პროდუქციას.

— ჩვენი სამუშაო დღე მეტად დატვირთული იყო. თითოეულმა ჩვენგანმა უამრავი შთაბეჭდილება მიიღო, —ამბობდნენ დელეგატები, — მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ. (საქინფორმი).

• • •

გუშინ მევენახეობისა და მეღვინეობის მეათე საერთაშორისო კონგრესის მონაწილენი ესტუმრნენ მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტსა და თბილისის კონიაკის ქარხანას.

სურათებზე: (ზევიდან) სტუმრები ეცნობიან ინსტიტუტში გამოყვანილ ყურძნის ჯიშებს; კონგრესის მონაწილენი თბილისის კონიაკის ქარხანაში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

„კომუნისტის" კვალდაკვალ

მკითხველთა სიგნალებზე ზომები მიღებულია

კრიტიკულ წერილში „მშენებლობა კუს ნაბიჯით" („კომუნისტი" № 201), ა. ლომიძე წერდა, რომ ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს სურამის შუშის ტარის ქარხნის მშენებლობა. ყოველივე ამის გამო ქარხანა დადგენილი დროისათვის არ ამუშავდება. ავტორი აკეთებდა დასკვნას, რომ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროში აღნიშნული მდგომარეობა არავის არ აღელვებს. და აი სამინისტროდან რედაქციაში მოვიდა პასუხი. მინისტრის მოადგილე ვ. კეღელიძე გვწერს:

ხაშურის მეორე სამშენებლო სამმართველოს უფროსი ა. ჭიპაშვილი, რომელმაც ჩაშალა ქარხნის მშენებლობა, განთავისუფლებულია სამუშაოდან. სამშენებლო სამმართველოს ახალ უფროსს ვ. ციციანოვს დაევალა დამკვეთი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად შეამოწმოს ქარხნის მშენებლობის ყველა ობიექტი და გამოარკვიოს შესრულებული სამუშაოს რაოდენობა და ხარისხი. მეცხრე სამშენებლო ტრესტის მმართველს კიტოვანს დაევალა სისტემატური დახმარება გაუწიოს საწარმოს მშენებლობას მასალებითა და ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებით.

• • •

„არ აშენდა, რა მიზეზით?". ასეთი სათაურით „კომუნისტის" № 157-ში იყო გამოქვეყნებული ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოხხათის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ი. გუჯაბიძის, ამავე სოფლის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის რ. როყვას და სხვათა წერილი. ისინი აკრიტიკებდნენ იმ პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით მათს სოფელში საშუალო სკოლის მშენებლობის გაჭიანურებაში. „საქმე უკულმა წავიდა, წერდნენ ისინი, როცა მშენებლობა ლანჩხუთის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო კანტორას მიენდო"...

მახარაძის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსი ვ. ჭაყელი ამ წერილთან დაკავშირებით რედაქციას აცნობებს, რომ გაზეთში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. მშენებლობის გაჭიანურება გამოწვეულია სამშენებლო მასალების ნაკლებობით. ამჟამად მიღებულია ზომები სკოლის მშენებლობის დასაჩქარებლად.

• • •

ქობულეთის დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანია — შენობები, ოთახები, ეზოები, პლაჟები კეთილმოუწყობელია, ნაკლოვანებები არის აგრეთვე დამსვენებელთა კულტურულ მომსახურებაში, კვების საქმეში და ა. შ. ამ და დამსვენებელთა მომსახურების გაუმჯობესების სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე წერდნენ „კომუნისტში" (№ 144) დაბეჭდილ კრიტიკულ სარეიდო მასალაში „კურორტი მშვენიერი, მომსახურება კი?" ექიმი ვ. გვანცელაძე, ექიმის თანაშემწე რ. აბაშიძე და სხვები.

წერილი სპეციალურად განიხილა პარტიის ქობულეთის რაიკომის ბიურომ. როგორც რაიკომის მდივანი შ. ჯაფარიძე გვატყობინებს, ფაქტები დადასტურდა. დასასვენებელი სახლის „დრუჟბას" დირექტორს ბ. შავიშვილს დამსვენებელთა კვებისა და კულტურული მომსახურების საქმეში დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის გამოეცხადა საყვედური. რაიკომის ბიურომ ნაკლოვანებათათვის მიუთითა და გააფრთხილა აგრეთვე დასასვენებელი სახლების დირექტორები: შ. დევაძე (ფიჭვნარი), ა. ლაზიშვილი (ნიავი), ი. შავიშვილი (ბურევესტნიკი), თ. ქიტიაშვილი (დედათა და ბავშვთა დასასვენებელი სახლი).

• • •

ბევრი თქმულა და დადგენილებაც მრავალჯერ მიღებულა ჭიათურაში საკოლმეურნეო ბაზრის მშენებლობის დასამთავრებლად, მაგრამ მდგომარეობა კვლავ უცვლელია. ჭიათურაში ბაზრის მშენებლობის გაჭიანურებას აკრიტიკებდა მოქ. ნ. ვაშაძე შენიშვნაში „მკითხველთა სიგნალები", რომელიც „კომუნისტში" (№ 202) გამოქვეყნდა.

გაზეთის კრიტიკული გამოსვლა პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მსჯელობის საგანი გახდა. როგორც საქალაქო კომიტეტის მდივანი გ. ცხადიაშვილი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეა. მიღებულია ზომები საკოლმეურნეო ბაზრის მშენებლობის დროულად დამთავრების უზრუნველსაყოფად.

სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის გეგმის შესრულება

გორის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის დავალება 8 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს, ნაცვლად 5050 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდა 5075 ტონა ხორბალი. პურის შესყიდვა გრძელდება. (საქინფორმი).

წერილი რედაქციას

მკაცრი ბრძოლა — უქნარებს, სპეკულანტებს!

არნახული აღმავლობით მიდის წინ ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობა. პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით ფრთაშესხმული სოფლის მშრომელები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ განუწყვეტლივ ზარდონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, რაც შეიძლება სწრაფად, თანმიმდევრულად შექმნან პროდუქტების სიუხვე.

ამ თავდადებულ, კეთილშობილურ შრომაში გარკვეული წვლილი შეაქვთ ჩვენი სოფლის ადამიანებსაც.

სოფელ ლესის კოლმეურნეობამ, რომელიც ლანჩხუთის რაიონში ერთ-ერთი მსხვილი მეურნეობაა, კარგა ხანია ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება — ნაცვლად 512 ტონისა მოკრიფა და წარმოებას ჩააბარა 525 ტონაზე მეტი ნედლეული.

თვალსაჩინო წარმატებები გვაქვს ერთწლიანი კულტურების მოსავლიანობის გადიდებასა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაშიც.

მეჩაიეები გ. გოგუაძე, მ. ტუღუში, გ. დარჩია, შ. ბარამიძე და ბევრი სხვა საქვეყნოდ არიან განთქმული, ყოველწლიურად „მწვანე ოქროს" სარეკორდო მოსავალს იღებენ.

მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენთან ყველა კოლმეურნე არ არის ჩაბმული აქტიურად საზოგადოებრივ შრომაში. ჯერ კიდევ გვყავს უქნარა, ცუღლუტი, უგულო ადამიანები, რომლებიც არა მარტო გაურბიან საკოლმეურნეო შრომას, არამედ სპეკულაციას და სახალხო ქონების განიავებასაც არ თაკილობენ.

ლესელმა კოლმეურნეებმა გულდასმით წაიკითხეს და მხურვალედ მოიწონეს ჟიტომირის ოლქის ჩერნიახოვის რაიონის კოლმეურნეობა „პირველი მაისის" მერგოლურის ნადეჟდა ზაგლადას სტატია „გაუფრთხილდით მინდვრის მშრომელის ღირსებას".

ამ სტატიაში აღძრული საკითხები მთლიანად ეხება ჩვენს კოლმეურნეობასაც. ნ. ზაგლადა ლაპარაკობს სოფლის მშრომელთა ღირსებაზე, მათს სინდისზე, იმაზე, თუ რაოდენ შეუწყნარებელია, რომ როცა ერთი ოფლს ღვრის, პატიოსნად შრომობს, მეორე იოლი გზით, უშრომლად, სხვისი მარჯვენის ძალით ცხოვრობდეს.

„ბოლოს და ბოლოს ხომ ყველამ უნდა შეიგნოს, — ამბობს ნ. ზაგლადა, — უშრომლად, უსინდისოდ ახლა ვერ იცხოვრებ, ვერ აიღებ ისეთ ტემპს, როგორიც პარტიამ დაგეგმა. და, ჩემი აზრით, უწინარეს ყოვლისა აი რა უნდა ვქნათ — ბოლო მოვუღოთ გაუპიროვნებას და უპასუხისმგებლობას".

ნ. ზაგლადას ეს სიტყვები ზედგამოჭრილია ტარას ჩიგოგიძესა და ტარიელ გოგიჩაიშვილზე, რომლებიც უსირცხვილოდ გაურბიან საკოლმეურნეო შრომას, საკუთარ ნაჭუჭში არიან ჩაკეტილი და პირადი გამდიდრების მიზნით სპეკულაციის გზასაც კი დაადგნენ.

ტარას ჩიგოგიძემ კოლმეურნეობაში მუშაობას დაფნის ნერგებით ვაჭრობა ამჯობინა. მან დაფნის საკუთარი პლანტაცია გააშენა, დაფნის ნერგი გამოჰყავს და მამასისხლად ჰყიდის.

ტარიელ გოგიჩაიშვილი კი „კაპიტალის" დაგროვების უფრო დიდ ასპარეზზე გავიდა. მისთვის კარგად არის ცნობილი რუსეთის ქალაქების ბაზრები, სადაც დაფნის ფოთლით სპეკულაციას ეწევა.

ამ პატარა წერილში ვერ ჩამოვთვლით ყველას, ვინც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის დადგენილ წესებს. ასეთი ადამიანები არცთუ ისე ცოტანი არიან. ვიტყვით მხოლოდ, რომ ახლა მთავარია გადამწყვეტი ბრძოლა გამოვუცხადოთ იმათ, ვინც თავისი უღირსი სახელით ჩრდილს აყენებს, ჩირქს სცხებს მინდვრის მშრომელთა ღირსებას.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, როგორც ეს პარტიამ დასახა, საერთო-სახალხო საქმეა, და ამ დიდ ამოცანას მხოლოდ მაშინ განვახორციელებთ წარმატებით, როცა ყველა აქტიურად ჩაებმება საზოგადოებრივ შრომაში, როცა ჩვენს შორის აღარ იქნებიან თაღლითები, უქნარები, უპასუხისმგებლო ადამიანები.

ა. ლომაძე,
ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

პირველ ადგილზე

გორი. (საქ. კორ.). აქ სასიხარულო ცნობა მოვიდა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს სასწავლებლების მუშაობის წლის მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში რესპუბლიკაში პირველ ადგილზე გამოვიდა გორის მეცხრე ტექნიკური სასწავლებელი (დირექტორი დ. ბედოშვილი), რომელსაც მიეკუთვნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ასი ტონა ნართი დაართეს და 1.300 ათასი მეტრი ხამი ქსოვილი მოქსოვეს. სულ მოსწავლეთა ძალებით დამზადდა 22 ათასი მანეთის პროდუქცია ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15,5 ათასი მანეთისა.

ბევრი სასწავლებელდამთავრებული წარმოების სახელოვანი ადამიანია. მეფთილე ციალა ნოზაძე ნოვატორია. ქსენია მესხიშვილი ახლა უფროს ინსტრუქტორად დააწინაურეს. ლამარა ქუთათელაძე ერთდროულად ოცდაათ საქსოვ დაზგას ემსახურება და გეგმებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს. ასზე მეტი სასწავლებელდამთავრებული მქსოველი, მრთველი და ოსტატის თანაშემწე იბრძვის კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო სახელის მოსაპოვებლად.

სანიმუშოდ, თავის დროზე მოემზადა სკოლა ახალი სასწავლო წლისათვის. კარგად გარემონტებული საკლასო ოთახები და კლასკაბინეტები, ინვენტარი მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის სამსახურში დგას. პრაქტიკული მეცადინეობის დონის ამაღლების მიზნით სართავ და საქსოვ კლას-კაბინეტებში დადგმულია სართავი და საქსოვი მანქანები. კლასკაბინეტები შევსებულია ახალი იარაღ-ხელსაწყოებით.

კეთილი ადამიანები

წერილი ლენინგრადიდან

რუსთავის ცემენტის ქარხანაში რომ მიხვალთ და ტექნიკურ სიახლეთა შესახებ ჩამოაგდებთ სიტყვას, ყველა სიამოვნებით დაგიწყებთ ლაპარაკს ღუმელების ორმხრივ კვებაზე.

ღუმელების ორმხრივი კვება, რაც ქართველმა მეცემენტეებმა საბჭოთა კავშირში პირველად განახორციელეს, ცემენტის წარმოების დიდად გაზრდის საშუალებას იძლევა. ცემენტი კი, მოგეხსენებათ, რაოდენ საჭიროა კომუნიზმის დიდად მშენებლობაში.

და როცა ამ სასიამოვნო ტექნიკურ სიახლეს მოისმენთ, უდავოდ დაგებადებათ კითხვა:

— ვინ იღებდა მონაწილეობას ამ დიდებული საქმის გაკეთებაში? მეცემენტეები თავმდაბალი ხალხია. თავიანთ როლს ამ შემთხვევაში მეორე რიგში აღნიშნავენ.

მაშ ვინ იყო პირველი? ლენინგრადის დაპროექტებისა და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა სახელმწიფო საკავშირო ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა ბრიგადა ინჟინერ ე. ცივილიოვას ხელმძღვანელობით.

ე. ცივილიოვა, ისე როგორც ბრიგადის ყველა წევრი, ქართველ მეცემენტეებთან მტკიცე შემოქმედებით კავშირში ყველაფერს აკეთებდა, რათა დროულად გადაეწყვიტა ცემენტის წარმოებაში ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი.

და ერთ დღეს მოხდა არასასიამოვნო შემთხვევა: ლოგინად ჩავარდა ჯგუფის ხელმძღვანელი.

ჩვენ წინ დევს წერილი. ზევით წითელი შრიფტით გაკეთებული აქვს წარწერა: „დაპროექტებისა და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა სახელმწიფო საკავშირო ინსტიტუტი „გიპროცემენტი".

წერილს, რომელიც გამოგზავნილია რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ი. ვიშნიაკოვისა და ამავე საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგის ზ. ნადირაძის მისამართით, ხელს აწერს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ბ. ვოლკონსკი.

აი რას ვკითხულობთ წერილში:

„გიპროცემენტის" საკავშირო ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა ბრიგადამ რუსთავის ცემენტის ქარხანაში დიდი სამუშაოები შეასრულა მბრუნავი ღუმელების წარმადობის გასადიდებლად.

1960 წლის ნოემბერში ბრიგადის ხელმძღვანელი ინჟინერი ე. ცივილიოვა ავად გახდა და იანვრამდე სამკურნალოდ იმყოფებოდა რუსთავის ქალაქის საავადმყოფოს ინფექციურ განყოფილებაში. ავადმყოფობის მთელ პერიოდში ამხ. ცივილიოვა გარემოსილი იყო განყოფილების სამედიცინო პერსონალის, პირველ რიგში მისი უფროსის — ექიმ გრიგოლ დობორჯგინიძის ყურადღებითა და მზრუნველობით.

ავადმყოფობა მძიმე ფორმებში მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, სწორმა დიაგნოზმა და მტკიცე სამკურნალო რეჟიმმა, რაც განხორციელდა უშუალოდ ექიმ დობორჯგინიძის მეთვალყურეობით, ხელი შეუწყო ცივილიოვას გამოჯანმრთელებას და მისცა მას საშუალება კვლავ შესდგომოდა მუშაობას.

ამჟამად, როცა რუსთავის ქარხანაში თვით ქარხნის კოლექტივისა და „გიპროცემენტის" ბრიგადის მიერ ე. ი. ცივილიოვას ხელმძღვანელობით წარმატებით იქნა დამთავრებული სამუშაოები, რამაც გამოიწვია დიდი ეკონომიური ეფექტი, გვსურს ერთხელ კიდევ მოვიგონოთ რუსთავის საავადმყოფოს კვალიფიციური ექიმი, შესანიშნავი და გულისხმიერი ადამიანი გრიგოლ დობორჯგინიძე და ვუთხრათ მას დიდი მადლობა არა მარტო ე. ცივილიოვასაგან, როგორც პაციენტისაგან, არამედ ინსტიტუტ „გიპროცემენტის" მთელი კოლექტივისაგან".

წერილის შესახებ ვესაუბრეთ ქალაქის საავადმყოფოს მთავარ ექიმს ვახტანგ გოგოძეს. მან გვითხრა:

— აქ უჩვეულო არაფერია. ჩვენ, საბჭოთა ექიმები, მოვალენი ვართ სამედიცინო დახმარება გავუწიოთ ყველას. რაც შეეხება ე. ცივილიოვას, მართლაც რომ მძიმე პირობებთან გვქონდა საქმე. მუცლის ტიფი მძიმე ფორმებში — აი მისი დიაგნოზი. ექიმმა გ. დობორჯგინიძემ განყოფილების მთელ სამედიცინო პერსონალთან ერთად ყველაფერი გააკეთა, რათა განეკურნა ავადმყოფი. საერთოდ ექიმი გ. დობორჯგინიძე გამოცდილი მკურნალია. თორმეტი წელია მუშაობს რუსთავში, და ვინ დათვლის რამდენ ადამიანს დაუბრუნა სიცოცხლე.

და ახლა, როცა შეუფერხებლად მუშაობენ ღუმელები და მათი ორმხრივი კვების შედეგად სახელმწიფო იღებს მეტ მაღალხარისხოვან რუსთავის მარკის ცემენტს, აქ დიდი სიამოვნებით იგონებენ ლენინგრადელ ე. ცივილიოვას, მის ღვაწლს ტექნიკური პროგრესის საქმეში. ე. ცივილიოვასაც, ჩანს, არ ავიწყდება რუსთავი, სადაც მას ჩვენმა შესანიშნავმა მკურნალებმა სიცოცხლე დაუბრუნეს. („კომუნისტის" საკ. კორ.).

მშვიდობის ჭურვები

უცხოეთის გამოხმაურება საკდესის განცხადებაზე

ფანჯავს ომის ღრუბლებს

საერთაშორისო ცხოვრება

დეპეშები ცნობები მიმოხილვა

ლონდონი, 12 სექტემბერი. (საკდესი). საკდესის განცხადებას კუბის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების პროვოკაციული მოქმედების შესახებ, რომლის მიზანია ძირი გამოუთხარონ მშვიდობის საქმეს, ფართოდ აშუქებს ინგლისის პრესა. „საბჭოთა კავშირი მოუწოდებს ამერიკის შეერთებულ შტატებს გამოიჩინონ კეთილგონიერება“, — ნათქვამია გაზეთ „ტაიმსის“ სათაურში. „დეილი სკეტჩი“ ათავსებს განცხადების შინაარსს სათაურით: „ხრუშჩოვი გაფრთხილებას აძლევს კენედის“.

„გარდიანი“ აღნიშნავს თუ რა დამაჯერებლობით არის მხილებული ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედების აგრესიულობა საბჭოთა განცხადებაში. ამერიკის პოლიტიკას კუბის მიმართ გაზეთი „ტლანქს“ უწოდებს. „დეილი მეილი“ ხაზს უსვამს, რომ სულელურია ამერიკის მთავრობის მტკიცება იმის შესახებ, რომ კუბა თითქოს სამხედრო საფრთხეს უქმნიდეს შეერთებულ შტატებს. გაზეთი მოუწოდებს ამერიკელებს — „თავგზა ნუ აგებნევათ“ და ხელი აიღეთ ძალის გამოყენებაზე.

ბელგრადი, 12 სექტემბერი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობამ გააფრთხილა ამერიკის შეერთებული შტატები, რომ კუბაზე თავდასხმა მსოფლიო ომის დაწყების მომასწავებელი იქნება, ხაზს უსვამს იუგოსლავიის გაზეთები, ბეჭდავენ რა საკდესის განცხადების შინაარსს. გაზეთები „ბორბა“ და „პოლიტიკა“ აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირის მთავრობამ განაცხადა, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც იბრძოლოს მშვიდობის უზრუნველყოფისათვის, განაცხადა, რომ მზად არის ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად განიხილოს საჭირბოროტო საერთაშორისო პრობლემები, განსაკუთრებით უკანასკნელი მსოფლიო ომის ნაშთების ლიკვიდაციასთან, მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებულ სრულ და საყოველთაო განიარაღებასთან დაკავშირებული საკითხები.

ბერლინი, 12 სექტემბერი. (საკდესი). საკდესის განცხადება შეერთებული შტატების პროვოკაციული მოქმედების შესახებ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. დედაქალაქის პრესა ფართოდ აცნობს მკითხველს ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს. გაზეთები ბეჭდავენ განცხადების დაწვრილებითს შინაარსს. სათაურით: „მოწოდება ყველა ხალხისადმი: ნუ დაუშვებთ ახალ ომს!“, კუბაზე თავდასხმა დაუსჯელი არ დარჩება“, „შეწყვიტეთ საშიში პროვოკაციები მშვიდობის წინააღმდეგ“.

საბჭოთა მთავრობა აფრთხილებს ამერიკის შეერთებულ შტატებს შემდგომი პროვოკაციებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ საყოველთაო ომის კატასტროფა დაატეხონ თავს მსოფლიოს, ისე რომ გამოყენებულ იქნეს ატომური იარაღი, ხაზს უსვამს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“.

გაზეთი გამოყოფს საკდესის განცხადების იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობა, ისევე როგორც წინათ, იმის მომხრეა, რომ რაც შეიძლება მალე დაიდოს გერმანიის საზავო ხელშეკრულება და მის საფუძველზე მოწესრიგდეს მდგომარეობა დასავლეთ ბერლინში.

გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს ამერიკელი იმპერიალისტების მოქმედება, რომლებიც ახალ აგრესიას ამზადებენ რევოლუციური კუბის წინააღმდეგ, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კუბელ ხალხთან სოლიდარობის კომიტეტის მდივანმა ვალტერ შტაუბიცმა. იმის გამო, რომ მოვლენათა განვითარება საფრთხეს უქმნის მშვიდობას, ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ კუბელ ხალხს და მივესალმებით საბჭოთა მთავრობის მტკიცე მოწოდებას — ბოლო მოუღონ პროვოკაციებს, თქვა ვ. შტაუბიცმა.

ჰელსინკი, 12 სექტემბერი. (საკდესი). ფინეთის გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობენ საკდესის განცხადებას, რომელიც, როგორც ხაზს უსვამს „კანსან უუტისეტ“, შეიცავს სერიოზულ გაფრთხილებას შეერთებული შტატებისადმი. „საბჭოთა მთავრობა, — წერს „ჰუვუდსტადსბლადეტ“, — მოუწოდებს ამერიკის მთავრობას გამოიჩინოს კეთილგონიერება, არ დაკარგოს თვითკონტროლი და გულმოდგინედ აწონდაწონოს, თუ რა შედეგები მოჰყვება ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებას, მან რომ ომი დაიწყოს.“ კუბაზე თავდასხმა, — ხაზგასმულია „პაივიან სანომატის“ მოწინავეში, — ომის მომასწავებელი იქნებოდა.

„მაკანსას“ მოწინავე სტატიაში „მოსკოვის გაფრთხილება ვაშინგტონს“ აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობა თავის განცხადებაში აფრთხილებს ამერიკის შეერთებულ შტატებს იმ მოქმედებისაგან, რომელსაც შეუძლია მიიყვანოს მსოფლიო თერმოატომური ომის კატასტროფამდე.

საბჭოთა დოკუმენტი, აღნიშნავს გაზეთი, მარტო გაფრთხილებას როდი შეიცავს. იქ გამოთქმულია სურვილი ითანამშრომლონ ამერიკის შეერთებულ შტატებთან დედამიწის პრობლემების გადაჭრაში. პირველ ღონისძიებად დასახულია ატომური იარაღის საყოველთაო აკრძალვა.

დელი, 12 სექტემბერი, (საკდესი). ინდოეთის ცენტრალურ გაზეთებს დღეს პირველ გვერდზე მოჰყავთ დაწვრილებითი შინაარსი საკდესის განცხადებისა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პროვოკაციულ მოქმედებასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის მთავრობის განცხადებაში, აღნიშნავს გაზეთი „სტეიტსმენი“, ნათქვამია, რომ შეერთებული შტატები მიმართავენ პროვოკაციებს, რომლებმაც შეიძლება თავს დაატეხონ მსოფლიოს საყოველთაო მსოფლიო ომის კატასტროფა თერმოატომური იარაღის გამოყენებით.

საბჭოთა მთავრობა, წერს გაზეთი „ტაიმს ოფ ინდია“, მოუწოდებს ყველა ხალხს — გაილაშქრონ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული გეგმების წინააღმდეგ და არ მისცენ ამერიკელ აგრესორებს ომის დაწყების შესაძლებლობა.

ყველა გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირმა კვლავ განაცხადა, რომ ესწრაფვის რაც შეიძლება მალე გადაიჭრას ბერლინის პრობლემა და მოისპოს საოკუპაციო რეჟიმი გერმანიაში.

ბონი, 12 სექტემბერი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქის ოფიციალური წრეები არ უკეთებენ კომენტარს საკდესის განცხადებას.

სამაგიეროდ მთელი პრესა უაღრესად თვალსაჩინო ადგილას დაწვრილებით ბეჭდავს ცნობებს ამ დოკუმენტის შესახებ. უკანასკნელ დღეებში დასავლეთ გერმანიის პროპაგანდა განსაკუთრებით თავშეუკავებელ ანტიკუბურ პროპაგანდას ეწეოდა, აშკარად აქეზებდა ამერიკის მმართველ წრეებს „უფრო მტკიცე მოქმედებისათვის“ კუბის წინააღმდეგ. გაზეთები თითქოს ორ ფრონტზე მუშაობდნენ: გაუწყვეტლივ აღვივებდნენ სამხედრო ისტერიას დასავლეთ ბერლინის გარშემო და იყენებდნენ აგრეთვე შეერთებული შტატების პროვოკაციებს კუბის წინააღმდეგ, რათა გაეძლიერებინათ საერთაშორისო დაძაბულობა.

დასავლეთ გერმანიის პრესამ დღეს იკისრა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკის დამცველთა უმადური როლი. დასავლეთ გერმანიის ზოგიერთი გაზეთი კვლავ აშკარად აქეზებს ვაშინგტონს აგრესიული მოქმედებისათვის. ამით განსაკუთრებით გამოირჩევა დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტური წრეების ორგანო „დოიჩე ციტუნგი.“ იგი ფაქტიურად იბრძვის ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ინტერვენციისათვის კუბის წინააღმდეგ.

მაგრამ მთელი რიგი მიმომხილველები აღიარებენ, რომ სასაცილოა მტკიცება, თითქოს კუბას შეეძლოს სამხედრო მხრივ საფრთხე შეუქმნას შეერთებულ შტატებს. გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშაუ“ აღიარებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს ყველაზე მეტად ის აშინებს, რომ კუბის რევოლუციას უდიდესი „მიმზიდველი ძალა“ აქვს ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის.

დუბროვნიკი მიესალმება კოსმოსის გმირს

დუბროვნიკი, 13 სექტემბერი. (საკდესი). საბჭოთა კოსმონავტმა მფრინავმა გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვმა, რომელიც იუგოსლავიაში იმყოფება, დღეს ისეირნა ქალაქ დუბროვნიკში და გაეცნო მის ღირსშესანიშნაობებს. ქალაქის მცხოვრებნი, იუგოსლავი და უცხოელი ტურისტები, რომლებიც ამჟამად აქ ძალიან ბევრნი არიან, აღტაცებით მიესალმებოდნენ კოსმოსის გმირს.

საბჭოთა კოსმონავტი მფრინავი იყო კულტურულ-ისტორიულ მუზეუმში, საზღვაო მუზეუმში, სადაც ხელი მოაწერა საპატიო სტუმართა წიგნში. ეწვია საზღვაო სასწავლებელს და დაესწრო წყალბურთის თამაშს იუგოსლავიის პირველობაზე. მრავალრიცხოვანი მაყურებლის თხოვნით საბჭოთა კოსმონავტმა, როგორც საპატიო სტუმარმა, ტრიბუნიდან ბურთი თამაშში შეიყვანა.

ჩომბე კვლავ აჩენს ბრჭყალებს

პარიზი, 13 სექტემბერი. (საკდესი). კვირაზე ცოტა მეტი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც კატანგის „პრეზიდენტი“ ჩომბე „პრინციპულად“ დათანხმდა კატანგის პრობლემის მოწესრიგების გეგმაზე, რაც მას შესთავაზეს, ჩომბეს ავაზაკებმა კი უკვე განაახლეს თავიანთი ბანდიტური მოქმედება.

როგორც ელიზაბეტვილიდან იუწყებიან, კატანგის ჟანდარმთა დიდმა ჯგუფმა პროვოკაციული თავდასხმა მოაწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების ინდოელთა რაზმზე ელიზაბეტვილსა და კისივეს შორის გზაზე. კატანგელმა ავაზაკებმა ისარგებლეს თავიანთი რიცხობრივი უპირატესობით და სროლა აუტეხეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარისკაცებს, რომლებიც თავდასაცავად აგრეთვე იძულებული გახდნენ სროლა აეტეხათ. შეტაკების შედეგად არიან დახოცილნი და დაჭრილნი.

ჩომბემ სცადა სხვისთვის გადაებრალებინა თავისი დანაშაული და სასწრაფოდ წაუყენა სასტიკი ბრალდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. ამასთან იგი აშკარად იმუქრებოდა ომით. „პირობას ვიძლევი, — თავხედურად განაცხადა სეპარატისტების მეთაურმა, — რომ ეს სულაც არ იქნება ის ბავშვური თამაში, რომელიც გასული წლის სექტემბერსა და დეკემბერში მოხდა“.

ჩომბეს, ეტყობა, დაავიწყდა, რომ როგორც სექტემბერში, ისე დეკემბერში, სრული განადგურებისაგან იგი იხსნა მხოლოდ უცხოელი მონოპოლიების ჩარევამ, რომელთა ინტერესებსაც იგი ემსახურება.

კატანგელი ჟანდარმების ახალ პროვოკაციულ თავდასხმასთან დაკავშირებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელი ელიზაბეტვილში დღეს იძულებული გახდა — მტკიცე პროტესტი განეცხადებინა და გაეფრთხილებინა ჩომბე, რომ ასეთ პროვოკაციებს მომავალში შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს.

ჩომბემ იგრძნო, რომ მას ზურგს უმაგრებენ თავისი პატრონები, რომლებსაც ხელს არ აძლევთ კატანგის კრიზისის რაიმე მოწესრიგება, და კვლავ გააქტიურა მოქმედება. მის ახალ პროვოკაციულ გამოხდომათა მიზანი, როგორც ჩანს, ის არის, რომ ახალი დათმობანი გამოსტყუოს კონგოს ცენტრალურ მთავრობას.

მიწისძვრა თურქეთში

ანკარა, 13 სექტემბერი. (საკდესი). თურქეთის აღმოსავლეთში გრძელდება მიწისძვრა, რომელმაც ამ დღეებში მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ქალაქ იგდირს. გუშინ ახალი მიწისძვრა ბიძგები აღინიშნა იგდირის მეზობელ ტუზულჯის, არალიკისა და დოღუ ბეიაზითის რაიონებში. წინასწარი მონაცემებით, თუმცა ამ ბიძგებმა უმნიშვნელო ნგრევა გამოიწვია, ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა, როგორც პრესა იუწყება, თავზარდაცემული ტოვებს სახლებს და ამჯობინებს კარვებში იცხოვროს.

პრემიერ-მინისტრები თათბირობენ

ლონდონი, 13 სექტემბერი. (საკდესი). აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნებს არა აქვთ განზრახული შეუერთდნენ „საერთო ბაზარს“ ასოცირებულ წევრთა უფლებებით, განაცხადა გუშინ ტანგანიკის პრემიერ-მინისტრმა კავავამ, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა ერთა თანამეგობრობის ქვეყნების პრემიერ-მინისტრთა კონფერენციის დილის სხდომაზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ აფრიკის დამოუკიდებლობა, სტაბილურობა და აყვავება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ აფრიკის ერთიანობის ფარგლებში.

მალაის წარმომადგენელმა აბდულ რაზაკმა და ტრინიდადისა და ტობაგოს პრემიერ-მინისტრმა უილიამსმა, რომლებმაც აგრეთვე დილის სხდომაზე წარმოთქვეს სიტყვები, მხარი დაუჭირეს, თუმცა შენიშვნებით, ინგლისის შესვლას „საერთო ბაზარში“.

კვიპროსის პრეზიდენტმა მაკარიოსმა, რომელიც დილის სხდომაზე გამოვიდა, მაგრამ რომლის სიტყვა მხოლოდ საღამოს გამოქვეყნდა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუ ბრიუსელის მოლაპარაკებაში უზრუნველყოფილი არ იქნება საკმაო გარანტიები, ინგლისის შესვლა „საერთო ბაზარში“ ძალიან მძიმე ზეგავლენას მოახდენს კვიპროსის ეკონომიკაზე.





ბურჟუაზიული პრესა დანიას ქება-დიდებას ასხამს, „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ უწოდებს მას. მაგრამ სინამდვილეში დანიელ მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა სრულებითაც არ არის ბრწყინვალე. იზრდება პირველი საჭიროების საგნების ფასები.

ქალაქ ოდენსეში, როგორც გაზეთი „პოლიტიკენი“ იუწყება, ერთი დანიელი დაბინავდა ღვინის ცარიელ ხის კასრში, რომელიც ქალაქგარეთ ეგდო. გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულია ამ დანიელი „დიოგენის“ ფოტოსურათები.

სურათებზე: (მარცხნივ) ამ კასრში ცხოვრობს დანიელი „დიოგენი“. (მარჯვნივ) დანიელი „დიოგენის“ ბინის შიგა მოწყობილობა.

სურათები დანიურ გაზეთ „პოლიტიკენიდან“.

ტელეგრაფი გვატყობინებს

□ ფხენიანში ამუშავდა პოლიგრაფიული კომბინატი, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დახმარებით აშენდა. კომბინატი ერთ-ერთი ამგვარი უმსხვილესი საწარმოა აზიაში.

□ გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რომ ესპანეთში დაიწყო ახალი დაპატიმრებები, კერძოდ, სან-სებასტიანსა და პუენტე-ხენილში (კორდოვის პროვინცია). სან-სებასტიანში დააპატიმრეს ანტიფაშისტთა ჯგუფი. სევილიის საპყრობილეში იტანჯება 8 კაცი, რომლებიც დაპატიმრებული არიან პუენტე-ხენილში გამართულ გაფიცვაში მონაწილეობისათვის. მათ საპატიმროში აწამებენ.

□ ლონდონელებმა 12 სექტემბერს კვლავ ჩაფუშეს ფაშისტური თავყრილობა, რომლის გამართვასაც ცდილობდა დასავლეთ ლონდონში ეგრეთწოდებული „ბრიტანეთის ეროვნული პარტია“. პირველივე ფაშისტი „ორატორის“ სიტყვას აღშფოთებული შეძახილებით შეხვდნენ ანტიფაშისტები, რომლებმაც მოითხოვეს შეეწყვიტათ ეს სამარცხვინო სანახაობა. პოლიცია იძულებული გახდა დაეხურა „მიტინგი“. ფაშისტი არამზადები პოლიციის დახმარებით სასწრაფოდ გაიპარნენ.

□ ამერიკის სადაზვერვო თვითმფრინავი „უ-2“ დაჯდა ავსტრალიაში, მელბურნის მახლობლად. ისინი მიფრინდნენ ფიჯის კუნძულებიდან. „უ-2“ თვითმფრინავებს, აღნიშნავს ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, მუდმივ საყრდენად ექნებათ ავსტრალიის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზები ლავერტონში.

□ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში მძვინვარებს ბუბონური შავი ჭირის ეპიდემია. ეპიდემიის შედეგად ბევრია მსხვერპლი. (საკდესი).

გენერალ დე გოლის დიქტატორული ნაბიჯი

პარიზი, 13 სექტემბერი. (საკდესი). მას შემდეგ, რაც ოფიციალურად გამოქვეყნდა ცნობა მომავალი რეფერენდუმის შესახებ, რათა შეიცვალოს კონსტიტუცია პირდაპირი არჩევნებით რესპუბლიკის პრეზიდენტის ასარჩევად, მთელ საფრანგეთში გაისმის პროტესტები ამ ღონისძიების წინააღმდეგ, რომელიც, როგორც მიმომხილველები წერენ, თვით დე გოლის კონსტიტუციის დარღვევაა, იმის ცდაა, რომ გაძლიერდეს დე გოლის პირადი ხელისუფლება.

რესპუბლიკური მიმართულების პოლიტიკურმა პარტიებმა — კომუნისტურმა პარტიამ, სოციალისტურმა პარტიამ, გაერთიანებულმა სოციალისტურმა პარტიამ, რადიკალთა პარტიამ და წინააღმდეგობის დემოკრატიულმა და სოციალისტურმა კავშირმა — მტკიცე პროტესტი განაცხადეს. „ფაქტიურად საქმე ეხება ერთი ადამიანის ხელისუფლების განმტკიცებას, რომელიც [illegible] მას ეკუთვნის [illegible] თქმის განუყოფლად, წერს საფრანგეთის კომპარტიის ხელმძღვანელობის წევრი ეტიენ ფაჟონი გაზეთ „ლუმანიტეში“. — ხელი აიღოს ყოველგვარ [illegible] ბაზე, [illegible] ნებზე, [illegible] მიანიჭოს [illegible], რომელიც მილიარდერთა „საფრანგეთის ბატონ-პატრონთა კასტის განმასახიერებელია, — აი რას მოითხოვენ რამდენიმე კვირის შემდეგ ფრანგი ხალხისაგან“. დასასრულ ეტიენ ფაჟონი მოუწოდებს ყველა რესპუბლიკელს გაერთიანდნენ, რათა ბოლო მოუღონ პირადი ხელისუფლების რეჟიმს.

მეწარმეთა გაზეთის „ეკოს“ და მთავრობის მომხრე „ნასიონის“ გარდა არც ერთი კომენტატორი არ იწონებს სავსებით მთავრობის პროექტებს. დე გოლის ყველაზე თავგამოდებული მომხრენი სინანულს გამოთქვამენ კონსტიტუციის აღმაშფოთებელი დარღვევის გამო.

დემოკრატიული ძალების სერიოზული გამარჯვება

რომი, 13 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. კრასიკოვი იუწყება:

იტალიის დეპუტატთა პალატამ მხარი დაუჭირა ელექტროსადგურების ნაციონალიზაციას ამ ქვეყანაში. ამ პრობლემის გადაჭრა, რომელმაც უკანასკნელ დროს ორ მოპირდაპირე ბანაკად გათიშა მთელი ქვეყანა და გამოიწვია უმწვავესი პოლიტიკური ბრძოლა, რამაც არა ერთხელ ეჭვის ქვეშ დააყენა თვით ახლანდელი მთავრობის არსებობა, არაპირდაპირ გამომდინარეობს ელექტროენერგიის სახელმწიფო უწყების შექმნის შესახებ 13 მუხლიანი კანონპროექტის პირველი მუხლის მიღებიდან.

მართლაც, გუშინ ხმის უმრავლესობით მიღებული კანონპროექტის მუხლი აწესებს, რომ ყველა ელექტროსადგური, გარდა იმ სადგურებისა, რომლებიც უკვე მუნიციპალურ ხელისუფლებს ეკუთვნით, გადაეცემა ელექტროენერგიის სახელმწიფო უწყებას. ახალი უწყების მთელ საქმიანობას კონტროლს გაუწევს მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო, მის ბიუჯეტს კი ყოველწლიურად გააცნობენ პარლამენტს.

ელექტროენერგიის წარმოების ნაციონალიზაცია იტალიაში დემოკრატიული მოძრაობის სერიოზული გამარჯვებაა, რაც იმ პროგრესული ძალების მრავალი წლის ბრძოლის შედეგია, რომლებსაც შემდგომ შეუერთდა იტალიის უდიდესი ელექტრომონოპოლიის „ედისონის“ პოლიტიკით უკმაყოფილო მმართველი წრეების წარმომადგენელთა ნაწილი. ნაციონალიზაციის წინააღმდეგ გადაჭრით გაილაშქრა „კონფინდუსტრიის“ (იტალიელ მრეწველთა კონფედერაციის. — კორ. შენიშვნა) ძირითადმა ბირთვმა. იტალიის კომუნისტურ პარტიას ენერგიის წყაროების ნაციონალიზაცია ერთ-ერთ თავის საპროგრამო მოთხოვნად მიაჩნდა.

დაზვერვის ნახელავი

პეკინი, 13 სექტემბერი. (საკდესი). ჩანკაიშელთა სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილმა მფრინავმა უ ბაო ჯიმ, რომელიც შარშან აგვისტოში ჩამოაგდეს ფუძიანის ფრონტზე, სინხუას სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში დაადასტურა, რომ ჩანკაიშელთა მზვერავი თვითმფრინავების ფრენას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე უშუალოდ ხელმძღვანელობს ამერიკის დაზვერვა.

ყოველი სადაზვერვო გაფრენის წინ, განაცხადა მან, ამერიკის დაზვერვის ოფიცერი პირადად აძლევდა დავალებას ჩანკაიშელ მფრინავებს. ამ დავალებათა შესახებ ჩანკაიშელთა სამხედრო-საჰაერო ძალების მაღალი თანამდებობის პირებმაც კი არ იცოდნენ. მზვერავ თვითმფრინავებთან მისვლა შეეძლო პირთა მხოლოდ შეზღუდულ ჯგუფს. ამერიკელები თვითონვე არემონტებდნენ ამ თვითმფრინავებს, თვითონვე აწყობდნენ და ცვლიდნენ ფოტოაპარატებს. სადაზვერვო გაფრენამდე ერთი დღით ადრე მფრინავებს ათავსებდნენ ცალკე იზოლირებულ ოთახში, სადაც ისინი იღებდნენ დავალებას ამერიკის დაზვერვის მუშაკებისაგან და ემზადებოდნენ გასაფრენად. გარდა ამერიკელი მზვერავებისა, არავინ არ იცოდა ამ თვითმფრინავებისათვის მიცემული დავალება.

რასისტები თარეშობენ

ბონი, 13 სექტემბერი. (საკდესი). ქალაქ ბამბერგის (დასავლეთი გერმანია) ერთ-ერთ საცეკვაო დარბაზში ამერიკელ ჯარისკაცთა ჯგუფმა უმოწყალოდ სცემა სამ ნიგერიელ სტუდენტს. ორი სტუდენტი იმდენად სერიოზულად აღმოჩნდა დაშავებული, რომ საავადმყოფოში გაგზავნეს.

ამერიკელმა ჯარისკაცებმა თავხედურად განაცხადეს, რომ მხოლოდ თეთრკანიან ამერიკელებსა და გერმანელ სამოქალაქო პირებს აქვთ უფლება შევიდნენ საცეკვაო დარბაზში. როგორც დპას სააგენტო იუწყება ამერიკელი ჯარისკაცები „გამოუცნობი“ დარჩნენ.

კენედის განცხადება

ვაშინგტონი, 14 სექტემბერი. (საკდესი). გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კენედიმ წაიკითხა წინასწარ მომზადებული განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის შესახებ კუბის მიმართ. კენედი შეეხო საბჭოთა საქონლის მიწოდებას კუბისათვის და გაიმეორა თავისი წინანდელი განცხადება, რომ „ეს ახალი მიწოდება არ უქმნის სერიოზულ საფრთხეს ამ ნახევარსფეროს რომელიმე სხვა ნაწილს“. ამასთან მან დასძინა: „თუ შეერთებული შტატები ოდესმე საჭიროდ მიიჩნევენ განახორციელონ სამხედრო მოქმედება კომუნიზმის წინააღმდეგ კუბაში, მთელი იარაღი და სპეციალისტები, რომლებიც კასტროს გაუგზავნეს კომუნისტებმა, ვერ შეცვლიან შედეგს და არსებითად ვერ გაახანგრძლივებენ დროს, რაც საჭიროა ამ შედეგის მისაღწევად“.

„მაგრამ, — განაცხადა შემდეგ კენედიმ, — შეერთებული შტატების ცალმხრივი სამხედრო ინტერვენცია არ შეიძლება ამჟამად იყოს არც საჭირო, არც გამართლებული“. მან სინანული გამოთქვა, რომ „უპასუხისმგებლო ლაპარაკს ამგვარი მოქმედების შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებში“ შეუძლია უტყუარობის ელფერი მისცეს იმ მტკიცებას, რომ არსებობს ასეთი საფრთხე.

და უმალვე ამის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება, რომელიც თითქმის არაფრით არ განსხვავდება იმ „უპასუხისმგებლო ლაპარაკისაგან“, რომელიც ეს-ეს არის დაგმო. „თუ რაიმე მომენტში კომუნისტური ძალების ზრდა კუბაში საფრთხეს შეუქმნის ან დაარღვევს როგორმე ჩვენს უშიშროებას, მათ შორის ჩვენი ბაზის უშიშროებას გუანტანამოში..., ან თუ კუბა გახდება მნიშვნელოვანი შემტევი სამხედრო ბაზა საბჭოთა კავშირისათვის, მაშინ ეს ქვეყანა „ე. ი. ამერიკის შეერთებული შტატები (რედ. შენიშვნა). ყოველ ღონეს იხმარს თავისი უშიშროებისა და თავისი მოკავშირეების უშიშროების დასაცავად“.

პრეზიდენტმა მიმართა კიდევ მეტ მუქარას და თქვა, რომ „როგორც შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს, მას აქვს სრული უფლება განახორციელოს ასეთი მოქმედება „და რომ მან სთხოვა კონგრესს რეზერვისტების გაწვევის უფლება.

კენედიმ ფაქტიურად აღიარა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოებს მზადება კუბის მთავრობის დასამხობად. „ჩვენ კვლავინდებურად ვიმუშავებთ კუბელ ლტოლვილთა ლიდერებთან, — თქვა მან, — რომლებიც, ისევე როგორც ჩვენ, ერთგულნი არიან იმ საქმისა, რომ ამ ქვეყანას დაუბრუნდეს თავისუფლება მომავალში“.

კენედიმ გამოთქვა ოდნავ შენიღბული მუქარა თავისი „ნატოელი მეგობრებისადმი“, რომლებსაც მოუწოდა „გაითვალისწინონ თუ რა შედეგები მოჰყვება მათი გემების გამოყენებას კუბასთან ვაჭრობაში“.

შემდეგ პრეზიდენტმა კენედიმ უპასუხა კორესპონდენტების შეკითხვებზე. შეკითხვების მნიშვნელოვანი ნაწილი აგრეთვე ეხებოდა კუბას, მაგრამ პასუხმა ამ შეკითხვებზე არაფერი არსებითი არ დაუმატა პრეზიდენტის განცხადებას.

შეკითხვაზე, მისცა თუ არა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ თვითმფრინავების „უ-2“ ექსპორტის ლიცენზიები სხვა ქვეყნებს, გარდა ჩანკაიშელთა მთავრობისა, კენედიმ უარყოფითად უპასუხა.

ბონის კოალიციაში დავა გრძელდება

ბონი, 13 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ბ. იურინოვი იუწყება:

ბონის მთავრობის კოალიციის უმცროსი პარტნიორის—თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა სულ უფრო ხშირად მოითხოვს, რომ ადენაუერი წავიდეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის პოსტიდან 1963 წლის შემოდგომაზე, როგორც ეს გათვალისწინებული იყო თავისუფალ დემოკრატიულ პარტიასა და ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირსა და ქრისტიანულ სოციალურ კავშირს შორის მომხდარ მოლაპარაკებაში მთავრობის კოალიციის შესახებ. ეს მოთხოვნა წინასაარჩევნო მიტინგზე რენდსბურგში გაიმეორა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ მენდემ. მენდემ გამოთქვა მუქარა, რომ თუ კოალიციის შესახებ შეთანხმების ეს პუნქტი დაირღვა და ადენაუერი კანცლერის პოსტზე დარჩა, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წევრი ხუთივე მინისტრი გამოვა მთავრობიდან.

წინასაარჩევნო კრებაზე კილში ასეთივე გაფრთხილება გააკეთა მენდეს მოადგილემ ლევერენცმა. ლევერენცმა ამას ხაზი გაუსვა, რომ ადენაუერთან ერთად უნდა გადადგეს აგრეთვე სტატს-მდივანი გლობკე.

როგორც ხაზგასმით აღნიშნავს პრესბიულეტენი „პარლამენტარიშ-პოლიტიშერ პრესედინსტი“, მენდეს გამოსვლამ რენდსბურგში „ძლიერ გააბრაზა“ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ხელმძღვანელი წრეები ბონში.

ხანძარი გემთსაშენში

იზმაილი, 13 სექტემბერი. (საკდესის კორესპონდენტი) ეს მოხდა წუხელ ღამის სამ საათზე. საბჭოთა-დუნაის სანაოსნოს თბომავალი „ფეოდოსია“ იდგა კორნეიბურგის გემთსაშენში (ავსტრია). უეცრად გუშაგმა რადიოოპერატორმა ამხ. სტეპანოვმა ნელი ცეცხლი შენიშნა უბეულის გაღმა მხარეს. ალი სწრაფად ძლიერდებოდა. ხანძარი საეჭვო აღარ იყო. დაუყოვნებლივ ატეხეს განგაში და გამზადეს ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებანი.

როცა საბჭოთა მეზღვაურები შემთხვევის ადგილას მივიდნენ, გამოირკვა, რომ გემხარიხებზე ცეცხლი გაჩენოდა მბიძგველს, რომელიც სსრ კავშირის შეკვეთით შენდება და თითქმის მზად არის წყალში ჩასაშვებად.

„ფეოდოსიის“ ეკიპაჟმა და თბომავალ „სევასტოპოლის“ მეზღვაურებმა, რომლებიც საშველად მოვიდნენ, სწრაფი და უნარიანი მოქმედებით ჩააქრეს ხანძარი, გადაარჩინეს გემი, რითაც თავიდან აიცილეს გემთსაშენს დიდი მატერიალური ზარალი.

ქარხნის დირექტორმა ბ-ნმა ეტცერმა მხურვალე მადლობა გადაუხადა საბჭოთა მეზღვაურებს გამჭრიახობისა და მამაცობისათვის.

დაიხურა სუდანის კავშირის ყრილობა

ბამაკო, 18 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს სუდანის კავშირის პარტიის VI ყრილობამ დაამთავრა მუშაობა. საბოლოო სხდომაზე დელეგატებმა დიდი აღფრთოვანების ვითარებაში მოიწონეს რეზოლუციათა პროექტები.

ყრილობამ აირჩია პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების ახალი შემადგენლობა.

საერთაშორისო შენიშვნები

რა დააშავა ჯონ ჰარდიმ?

1962 წლის ნოემბერში გაიმართება ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები. ამერიკელ პროპაგანდისტებს ამ დღეებში გულაჩუყებით მოჰყავთ ციტატები ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციიდან, სადაც ნათქვამია, რომ არჩევნებში „შეერთებული შტატების მოქალაქეთა მონაწილეობის უფლებას არ უარყოფენ და არ შეზღუდავენ შეერთებული შტატები თუ ცალკეული შტატები რასის, კანის ფერის ან წინანდელი მონური მდგომარეობის გამო“.

მაგრამ ტკბილი სიტყვები ვერ დაფარავენ ამერიკის მწარე სინამდვილეს.

ამას წინათ ტაილერტაუნში (მისისიპის შტატი) დააპატიმრეს ზანგი სტუდენტი ჯონი ჰარდი და მხეცურად სცემეს. ჯონ ჰარდის მთელი „დანაშაული“ იმაში მდგომარეობდა, რომ მას უნდოდა ამომრჩეველთა სიაში შეეტანა ორი ზანგი.

„ხმის მიცემის უფლება, — წერდა სარედაქციო სტატიაში მონოპოლიების ორგანო „უოლ-სტრიტ ჟორნელი“, — პრივილეგიაა, რომელიც უნდა დაიმსახურო, და საზოგადოება გარკვეულ შეზღუდვებს უნდა აწესებდეს ხმის მიცემის უფლებაზე, რათა თავი დაიცვას ბრბოსაგან“.

სწორედ მონოპოლიების ამ განაწესს, და არა კონსტიტუციას, ასრულებდა მოხელე, რომელმაც სცემა ჯონ ჰარდის და გადასცა იგი პოლიციას. სწორედ ამ დაუწერელი, მაგრამ ზუსტად დაცული „კანონით“ ხელმძღვანელობენ რასისტები, როცა სცემენ, აპატიმრებენ და ლინჩის წესით ასამართლებენ ზანგებს.

სამხრეთ შტატებში მოქალაქეობრივ უფლებათა ფედერალური კომისიის ოფიციალური მონაცემებითაც კი ხმის უფლება ჩამორთმეული აქვს სულ ცოტა 1 მილიონ 750 ათას ზანგს. ფაქტიურად იმ ზანგთა რიცხვი, რომლებსაც ხმის უფლება ჩამორთმეული აქვთ, რამდენიმე მილიონს შეადგენს. ოფიციალური „კონგრესმენ კუოტერლის“ აღიარებით ეს რიცხვი 4 მილიონს უდრის.

მშრომლები, და უწინარეს ყოვლისა ზანგები, საარჩევნო ყუთებთან რომ არ მიუშვან, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა აკრძალვათა და შეზღუდვათა მთელი სისტემა შეიმუშავეს. გამოყენებულია ყველაფერი ბინადრობის ცენზი და საარჩევნო გადასახადები, სხვადასხვა „შემოწმება წიგნიერებისა“ და „ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის ტექსტის განმარტების უნარისა“ და პირდაპირი მუქარაც იმათ მიმართ, ვინ ცდილობს თავისი საარჩევნო უფლები გამოიყენოს.

ცნობილია შემთხვევები, როცა უმაღლესი განათლების მქონე ამომრჩეველ ზანგებსაც კი ხმის უფლებას ართმევდნენ იმ საფუძველზე, რომ მათ განათლების ცენზი არა აქვთ. ამავე დროს კი, როცა ვინმე მერი ეთელ ფოქსს, რომელიც პლაკმინის ოლქში (ლუიზიანის შტატი) ამომრჩეველთა რეგისტრაციას განაგებს, წინადადება მისცეს თვითონ გაეცა პასუხი კითხვებზე, რომელსაც იგი ამომრჩეველ ზანგთა წიგნიერების „შესამოწმებლად“ იყენებდა, მან ვერც ერთ კითხვაზე ვერ გასცა პასუხი...

თავის დროზე ტეოდორ დრაიზერმა თქვა: იმ ბუტაფორიული ყლარუნებიდან, რომლებიც ამერიკელს აქვს, ყველაზე ბუტაფორიული მისი „ხმის უფლებაა“. ეს დიდი ამერიკელი დღესაც მართალია.

ლ. ზუბინი,
სააგენტო „ახალი ამბები“.

ვოროვსკის სახელობის პრემია

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის მოსკოვის განყოფილებამ დააწესა გამოჩენილი საბჭოთა დიპლომატისა და ნიჭიერი პუბლიცისტის ვ. ვოროვსკის (1871-1923) სახელობის პრემია. პრემია ყოველ წელიწადს მიენიჭება იმ ჟურნალისტთა ჟურნალისტურ და პუბლიცისტურ ნამუშევრებს, რომლებიც საერთაშორისო დარგში მოღვაწეობენ. პრემიის შესახებ დებულებაში ნათქვამია:

1. ვოროვსკის სახელობის პრემია ენიჭება წელიწადში ერთხელ საერთაშორისო ჟურნალისტიკის დარგში. პრემიით შეიძლება აღინიშნოს ყოველი ჟანრი (სტატია, საუბარი, ფელეტონი, ნარკვევი, რადიოგადაცემა და ტელეგადაცემა, ამ ჟანრების ნაწარმოებთა კრებული და ა. შ.).
2. პრემია შეიძლება მიენიჭოს ერთ პიროვნებას ან პიროვნებათა ჯგუფს (თუ პრემიით აღინიშნა ის ნაწარმოები, რომელიც რამდენიმე ავტორის შრომის ნაყოფია).
3. პრემია წარმოადგენს სამაგიდო მედალს წარწერით „ვოროვსკის სახელობის პრემია“ იმ წლის აღნიშვნით, რომლისთვისაც პრემია მიეკუთვნა.
4. პრემიის მოსაპოვებლად ნამუშევრებს წარადგენენ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები, გამომცემლობები, რადიოკომიტეტები.
5. პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილ ნაწარმოებთა წინასწარ შერჩევას აწარმოებს სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის მოსკოვის განყოფილების იმ ჟურნალისტთა სექციის ბიურო, რომელნიც საერთაშორისო დარგში მოღვაწეობენ.
6. საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად იქმნება ჟიური, რომლის შემადგენლობაში გაერთიანებულია საერთაშორისო დარგში მოღვაწე 10 წამყვანი ჟურნალისტი. გადაწყვეტილების მიღება ხდება ფარული კენჭისყრით ხმის უმრავლესობით.
7. ჟიურის გადაწყვეტილებას ამტკიცებს საერთაშორისო დარგში მოღვაწე ჟურნალისტთა სექციის ბიურო.

ვოროვსკის სახელობის პრემიის მინიჭება 1960 და 1961 წლებისათვის წელს პირველად მოხდა.

ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ა. ვიშნევსკი, ი. ჟუკოვი, ვალ. ზორინი, ბორ. იზაკოვი, ნ. ინოზემცევი, ვ. კორიონოვი, მ. მარინინი, ვ. მატვეევი, ბ. პოლევოი, შ. სანაკოევი, ნ. სერგეევა, ტ. ტიმოფეევი, განიხილა მოსკოვის გაზეთებისა და ჟურნალების მიერ წარმოდგენილი წინადადებანი.

1960 წლისათვის პრემია ერთსულოვნად მიენიჭა წიგნ „გამოღვიძებული აღმოსავლეთის“ (საბჭოთა ჟურნალისტების ჩანაწერები ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობაზე ინდოეთში, ბირმაში, ინდონეზიასა და ავღანეთში) ავტორთა კოლექტივს. წიგნი დაწერა წამყვანი საბჭოთა პუბლიცისტების ჯგუფმა, რომელშიც შედიან **ა. აჯუბეი, გ. ბურკოვი, ი. ვორონოვი, ი. ჟუკოვი, ლ. ილიჩოვი, ვ. ლებედევი, ვ. მაევსკი, ფ. ორეხოვი, ნ. პასტუხოვი, კ. პერევოშჩიკოვი, პ. სატიუკოვი, მ. სტურუა, ო. ტროიანოვსკი, ი. ტრუშინი, მ. ხარლამოვი, ო. ჩეჩეტკინა, ე. შეველევა.**

წიგნი „გამოღვიძებული აღმოსავლეთი“ პარტიული პუბლიცისტიკის ნიმუშს წარმოადგენს. მასში გაშუქებულია საერთაშორისო ცხოვრების და საგარეო პოლიტიკის ურთულესი პრობლემები. ავტორები გვიჩვენებენ ნ. ს. ხრუშჩოვს — ხალხთა თავისუფლებისათვის, მშვიდობისათვის დაუღალავი მებრძოლის უდიდეს მოღვაწეობას. შინაარსის პუბლიცისტურობა წიგნში წარმატებით შეხამებულია მთელი რიგი საერთაშორისო საკითხების ღრმა დამუშავებასთან.

ვ. ვოროვსკის სახელობის 1961 წლის პრემიის ლაურეატი გახდა ცნობილი საბჭოთა ჟურნალისტი ა. ლეონიდოვი (ფსევდონიმი — ერნსტ გენრი) შემდეგი ნამუშევრებისათვის, რომლებიც 1961 წელს გამოქვეყნდა: სტატიების სერია ნეოფაშიზმზე, გამოქვეყნებული ჟურნალში „მიროვაია ეკონომიკა ი მეჟდუნაროდნიე ოტნოშენია“, სტატიების სერია „ღმერთთა მწუხრი“ (?), რომელიც ჟურნალ „ნოვოე ვრემიაში“ დაიბეჭდა, ბროშურა „შეიარაღება დასამსხვრევად“, რომელიც „სოცეკ გიზმა“ გამოსცა და სტატია „ოასი და სს-ი“, გამოქვეყნებული „ლიტერატურნაია გაზეტაში“. ჯერ კიდევ ომამდე ა. ლეონიდოვმა დაწერა წიგნები „ჰიტლერი ევროპაზე?“ და „ჰიტლერი სსრ კავშირის წინააღმდეგ“, რომლებმაც საერთაშორისო საზოგადოებრიობის დიდი ყურადღება დაიმსახურეს. ა. ლეონიდოვის ახალი ნამუშევრები წარმატებით განაგრძობენ ფაშიზმისა და საერთაშორისო რეაქციის მხილების ამ გზას.

ვ. ვოროვსკის სახელობის პრემიის ლაურეატებს გადასცემენ დიპლომებს და სამახსოვრო სამაგიდო მედლებს.

...ეროვნული და საერთაშორისო ...

...ბილოვნება

...ძმობის წიგნი

ანთოლოგიის — „ქართული ლიტერატურის რჩეული ფურცლების“ შემდგენელმა ტიგრან კარაპეტიანმა გამოუმეჯა თავისი ახალი შრომა „ქართული ლიტერატურული აზრი სომხეთისა და სომხების შესახებ“.



წიგნის პირველი თავი მიძღვნილია წყაროების მიმოხილვისადმი დაწყებული „ქართლის ცხოვრებით“, რომელიც შეიცავს ცნობებს სომხებზე, იმაზე, თუ როგორ გამოდიოდნენ სომხები სამხრეთიდან შემოჭრილ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ და, თავის მხრივ, მტრის მიერ დევნილნი, თავშესაფარს პოულობდნენ საქართველოში.

მეორე თავი მოიცავს პერიოდს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის ოციან წლებამდე. ბურჟუაზიის განვითარებით იქმნება წინაპირობები ეროვნული ანტაგონიზმისათვის. ავტორი დაწვრილებით ეხება იმ პროგრესულ როლს, რომელსაც ასრულებდა ამ ისტორიულ ვითარებაში მოწინავე ქართველი ინტელიგენცია — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გრიგოლ ორბელიანის, იაკობ გოგებაშვილის და სხვათა სახით.

პოემა „ნათელაში“ აკაკი წერეთელი წერდა მონოლოგების შემოსევაზე სომხეთში და ჩრდილოეთ სომხეთის დედაქალაქის ანის გმირულ დაცვაზე, რომელიც უცბად დამპყრობლებმა დააქციეს. პოეტი აღნიშნავს, რომ ამ სისხლსმღვრელ ბრძოლაში დაზარალდნენ თავვანთი ძმებივ საშველად მოსული ქართველებიც.

იმ უბედურებასა და ტანჯვას, რაც სომხებმა და ქართველებმა გარეშე მტრებისაგან განიცადეს, წერდა ილია ჭავჭავაძე, მხოლოდ მათ შორის დიდი მეგობრობა და სიყვარული გამოისყიდის, „ამაში ორივე ხალხის უძლეველი ძალაა.

ცნობილი ქართველი განმანათლებელი ი. გოგებაშვილი ალნიშნავდა, მიუხედავად ენის განსხვავებისა, სომხები და ქართველები მონათესავე ერები არიან და თავიანთი ზნეჩვეულებით საოცრად ახლოს დგანან ერთმანეთთანო. გამოკვლევის ავტორი მოგვითხრობს, როგორ იყო მიღებული ქართულ სცენაზე გ. სუნდუკიანის პიესები.

მოწინავე ქართველი ინტელიგენციაკარგად იცნობდა ახალ სომხურ ლიტერატურას, თარგმნიდა მის საუკეთესო ნაწარმოებებს, უყვარდა და აფასებდა მას გამოჩენილ წარმომადგენლებს: რაფეს, შირვანზადეს, თუმანიანს, ისაკიანს...

ამ ამაღელვებელ წიგნს რომ გადაფურცლავს, მკითხველი აგრეთვე შეიტყობს, რომ ჟურნალ „ივერიაში“ არაერთხელ იხსენიებოდა დიდი სომეხი მწერალი რაფი. დაწვრილებით იყო გადმოცემული მისი ცხოვრებისა და შემოქმედების გზა.

მეტად დიდია ოვანეს თუმანიანის როლი ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობის განმტკიცების საქმეში. მიდიოდა რა საიათნოვას და გაბრიელ სუნდუკიანის გზით და განაგრძობდა რა მათს ტრადიციებს, ოვანეს თუმანიანმა, ხალხთა მეგობრობის ამ ნამდვილმა მეძროშემ, თავისი მგზნებარე სიტყვითა და კალმით უძლერა ნიჭიერ ქართველ ხალხს. გულში ჩამწვდომია ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებიდან“ ავტორის მიერ მოყვანილი სიტყვები ოვანეს თუმანიანზე: ოსთაველის პროსპექტზე თქვენ, ძვირფასო მკითხველნო, ალბათ არაერთხელ შეგხვედრიათ ჭაღარამოსილი, დარბაისელი მოხუცი, რომელიც ყველას სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. დღეს პროსპექტი დაობლდა: იგი ჩვენს მორის აღარ არის, და ჩვენ ძლიერ განვიცდით ამ დიდ დანაკლისს.

ღრმა მწუხარება და სევდა გამოთქვა თავის ლექსში „საქართველოს მეგობარს“ პოეტმა ი. გრიშაშვილმა, დიდი თუმანიანის ქმნილებათა შესანიშნავმა მთარგმნელმა.

სომეხი და ქართველი ხალხების მეგობრობამ ახალი შინაარსი და ძალა შეიძინა ჩვენს დროში. წიგნში მოყვანილია მრავალი ფაქტი, თუ როგორ განაგრძობენ ქართველი საბჭოთა მწერლები თავიანთი წინამორბედი დემოკრატების ტრადიციებს და სულ უფრო ხშირად ასახავენ მხატვრულ ლიტერატურაში მეზობელ ხალხთა ძმური თანამეგობრობის იდეას. პოეტი გიორგი ლეონიძე ლექსში „სევანის თასი“ ადღეგრძელებს სომეხ ხალხს.

ლაპარაკობს რა ქართული ლიტერატურის იმ ნაწარმოებებზე, რომლებიც მიძღვნილია სომხური კულტურის მოღვაწეებისადმი, ავტორი ჩერდება, კერძოდ, იმ შეფასებაზე, რაც მიცემული აქვს ფუნჯის გამოჩენილი ოსტატის მარტიროს სარიანის შემოქმედებას. ეს მასალები, რომლებიც პირველად ქვეყნდება, მეკვარმეტყველურად მოწმობენ მხატვარ-მოქალაქის როლს ამიერკავკასიის მომმე ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში.

ტიგრან კარაპეტიანის შრომა ძვირფასი წვლილია ქართველი და სომეხი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ისტორიაში.

გ. ჩიგინიანი.
ერევანი





ზაფხული წავიდა. თითქოს მზე ისე ძალუმად ვეღარ აცხუნებს, მაგრამ, მაინც, ბუნების წიაღში გასვლას და სუფთა ჰაერით დატკბობას რა სჯობია! ისევ ხალხმრავალია შავი ზღვის სანაპირო, ჩვენმა მხატვარმა ი. ჭოქიაშვილმა ქობულეთის ერთ-ერთი კუთხე გამოსახა და თავის ჩანახატს უწოდა „ფიჭვნარში, სანაპიროზე“, ხოლო ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ვლ. გინზბურგმა ეს სურათი (მარჯვნივ) გადაიღო „თბილისის ზღვაზე“.

...ქართული და პოლონური კულტურის კვირეული

საქართველოსა და პოლონეთის რადიო სექტემბერში აწყობენ გაცვლითს რადიოგადაცემებს, რომლებიც მოუთხრობენ თავიანთი რესპუბლიკების კულტურულ ცხოვრებაზე.

ამ გადაცემათა მოწყობის ინიციატორები არიან პოლონეთის რადიოს მუშაკები, რომელთა თხოვნით რადიომაუწყებლობის და ტელევიზიის ქართველმა რესპუბლიკურმა კომიტეტმა მოამზადეს სპეციალური პროგრამა.

პოლონეთში უკვე გაიგზავნა რადიონარკვევი — „ლენინური პრემიის ლაურეატები ქართველ მეტალურგთა ქალაქში“, რომელიც მოუთხრობს მთლიანად ავტომატიზებულ დგან „420“-ის შემქმნელებზე, „ასეთია თბილისი“, მოთხრობა ქართულ სოფელ ნატანებზე, სადაც მოყვანილი ჩანს პოლონეთში იგზავნება, და სხვა გადაცემები.

პოლონელი რადიომუშაკები გაეცნობიან აგრეთვე ხალხურ, კლასიკურ და თანამედროვე ქართულ მუსიკას, თბილისის საოპერო თეატრის სპექტაკლებს, თანამედროვე ქართველი მწერლების ნაწარმოებებს.

საგანგებო „ახალი ამბები“.

...ბოდროვის საშემოდგომო სეზონი

16 სექტემბერს თბილისის იპოდრომზე გაიმართება დღე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს და რუსეთის ცხენსაშენების წმინდასისხლიანი ცხენები.

საშემოდგომო სეზონის განმავლობაში გაიმართება ათი დღე — 16 სექტემბერს, 23 სექტემბერს, 30 სექტემბერს, 7 ოქტომბერს, 14 ოქტომბერს, 21 ოქტომბერს, 28 ოქტომბერს, 4 ნოემბერს, 8 ნოემბერსა და 11 ნოემბერს.

გათამაშდება დიდი ჯილდოები, სპეციალური პრიზები, იმუშავებს ტოტალიზატორი.

მაყურებელთა უკეთ მომსახურებისათვის განხორციელდა რიგი ღონისძიებანი: იპოდრომის ტერიტორიაზე დამთავრდა მოსამზადებელი სამუშაოები, დღისს დღეებში იმოძრავებს დამატებითი ტრანსპორტი, იმუშავებენ მოძრავი ბუფეტები.

სპორტული ქრონიკა

□ **მინსკში** მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის პირველობა ველოსპორტში. ინდივიდუალურ რბოლაში 50 კილომეტრზე საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული ა. პეტროვმა მოიპოვა.

წარმატებას მიაღწია ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა მოსწავლე ე. მელკოვმა. იგი პირველი იყო 25 კილომეტრიან დისტანციაზე.

□ **ზესტაფონში** საქართველოს თასის მფლობელმა ადგილობრივმა „მეტალურგმა“, საბჭოთა კავშირის თასზე ძირეულ კოლექტივებს შორის, დამარცხება განიცადა დნეპროპეტროვსკის „ავანგარდთან“ — 3:4.

ლატვიის დედაქალაქში

დღეს რიგაში დაიწყება საბჭოთა კავშირის 1962 წლის პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მოჭიდავეები გაიმამაშებენ ოთხ ოქროს მედალს უმჩატესი, ქვემსუბუქი, ქვესაშუალო და ქვეძძიმე წონით კატეგორიებში.

ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას ლატვიის დედაქალაქში დაიცავენ: ზ. შეყრალაძე, ვ. რუბაშვილი, ნ. ხობაშვილი, კ. დავლიანიძე, ა. ცხოვრებოვი და ა. მარტყოფლიშვილი.

...ოვიდი ოქროს მედალი

ევროპის ჩემპიონატის მეორე დღეს, 18 სექტემბერს, საბჭოთა სპორტსმენებმა კიდევ ერთი ოქროს მედალი მოიპოვეს. ევროპის ჩემპიონი გახდა კონტინენტის რეკორდსმენი ვ. ტრუსენევი. ვაჟთა შორის ბადრის ტყორცნაში მისი შედეგი (57 მ. 11 სმ.) საუკეთესო იყო.

ამ დღეს გათამაშდა კიდევ სამი ოქროს მედალი. სამმაგ ხტომაში ევროპის ჩემპიონი გახდა პოლონელი **შმიდბი (17,55)**, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები საბჭოთა მძლეოსნებმა **ვ. გორიაევმა (16,39)** და **ო. ფედოსეევმა (16,24)** მოიპოვეს.

უცხოეთის ქვეყნების სპორტსმენთა წარმატებით აღინიშნა ფინალური გარბენები **100 მეტრზე** ქალთა და ვაჟთა შორის. ქალთა შორის გაიმარჯვა ინგლისელმა **ბეიმენმა (11,3)**, ვაჟთა შორის ევროპის ჩემპიონი გახდა ფრანგი **პიკამალი (10,4)**.

ასპარეზობის მესამე დღეს საბჭოთა მძლეოსნებმა სამ ოქროს მედალს კიდევ ოთხი ოქროს მედალი მიუმატეს.

ევროპის ჩემპიონები გახდნენ: ვაჟთა შორის სიგრძეზე ხტომაში **ი. ტერ-ოვანესიანი (8 მ. 19 სმ.)**. სამი ოქროს მედალი მოიპოვეს **ელ. ოზოლინამ** შუბის ტყორცნაში (54,78), ხუთჭიდელ ქალთა შორის **ბ. ბისტროვამ (4,833)** და **100 მეტრზე** რბენაში **მ. იბკინამ (53,4)**.

სიმაღლეზე ხტომაში ქალთა შორის გაიმარჯვა მსოფლიო რეკორდსმენმა **ი. ბალაშოვამ (188 სმ.)**.

სურათებზე: (ზევით) ქალთა შორის ბირთვის კვრაში გამარჯვებული თ. პრესი. (ქვევით) ევროპის ჩემპიონი 10.000 მეტრზე რბენაში პ. ბოლოტნიკოვი.

...ეროვნული ...ბილიარდი

16 სექტემბერი

ს. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — აიდა (ზ. ანჯაფარიძის მონაწილეობით), **რუსთაველის სახელობის** — ...**ბ. ...ბელი**, **გრიბოედოვის სახელობის** — ...**ბ. ...ბ. ...ბ. ...